

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრანტი: მარიამ ყვავილაშვილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების

პრინციპები სს „თიბისი ბანკის“ მაგალითზე

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ნადეჟდა კვატაშიძე, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი შესრულებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსისა და მისი მომზადების ძირითადი პრინციპების განხილვის მიზნით. ბევრი დიდი ბიზნესი შედგება რამდენიმე კომპანიისგან, რომელიც კონტროლდება ცენტრალური ან ადმინისტრაციული აპარატის მიერ. მათ გაერთიანებას ჯგუფი ეწოდება. ჯგუფში გაერთიანების ბევრი მიზეზი არსებობს: კონსოლიდაციასთან დაკავშირებული გუდვილი, საგადასახადო და საკანონმდებლო მიზნები და სხვა. სწორედ მოცემული კომპანიები წარადგენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ნაშრომის პირველი თავი მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსის და ძირითადი ტერმინების განმარტებას. კერძოდ, განიხილება საწარმოთა გაერთიანების ტიპები და მათი მახასიათებლები, კონტროლის არსებობა და მნიშვნელოვანი გავლენა, ასევე კონსოლიდაციისგან განთავისუფლების შემთხვევები, არამაკონტროლების ცნება და გუდვილი.

მეორე თავში განიხილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის ძირითადი საკითხები შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების შემთხვევებში.

მოცემულ თავში განხილული იქნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები და კონსოლიდაციის პროცედურის სამომავლო პერპესქტივები ტექნოლოგიური განვითარების პირობებში. სამაგისტრო ნაშრომი კონკრეტული კომპანიის მაგალითზე განიხილავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს და ძირითად პრინციპებს. ამ მიზნისთვის შერჩეულ იქნა სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საბანკო სფეროს ერთ-ერთი უმსხვილესი წარმომადგენელია.

ნაშრომი შესრულებულია ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით.

Annotation

This work is done to review the essence of the consolidated financial statements and the basic principles of its preparation. Many big businesses are made up of several companies that are controlled by central or administrative apparatus. They unite as a group. There are many reasons for joining the group: goodwill related to consolidation, tax and legislative goals, etc;

These companies will present consolidated financial statements.

The first chapter of the work includes the definition of the essence and the basic terms of consolidated financial statements. Specifically, the types of enterprise mergers and their characteristics, the existence of control and significant influence, as well as the cases of exemption from consolidation, the definition of non-controlling interest and goodwill are also discussed too.

The second chapter deals with the basic provisions of the consolidated financial statements in the conditions of subsidiary enterprise, associate enterprise and joint activities.

The third chapter will discuss various problems related to the presentation of consolidated financial statements and the future prospects of the consolidation procedure in the light of technological development.

This work examines the main principles and procedures of consolidated financial statements based on JSC TBC Bank, which is one of the largest representatives of the banking sector in Georgia.

The work is done based on international and financial accounting standards, which are base of the consolidation process.

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და დანიშნულება	8
1.1 საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაცია და მისი ფორმები.....	8
1.2 არამაკონტროლებელი წილი და გუდვილი	23
თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს დონეზე.....	36
2.1 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შვილობილი კომპანიის დონეზე.....	36
2.1.1 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	36
2.1.2 კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	45
2.1.3 კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	49
2.1.4 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	52
2.2 მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში	54
2.3 სს "თიბისი ბანკი" -ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები და ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი.....	66
2.4 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებული პრობლემები და პერსპექტივები	73
დასკვნა	77
გამოყენებული ლიტერატურა.....	82

შესავალი

გლობალიზაციის და საერთაშორისო ვაჭრობის ეპოქაში, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას კვალდაკვალ წარმოიშვა ბიზნესის სხვადასხვა ტიპის კომბინაციები-საწარმოთა გაერთიანებები, რომელთა როლი და მნიშვნელობა გლობალურ ეკონომიკაში დღითიდღე იზრდება.

საწარმოთა გაერთიანება არის ცალკეული სამეურნეო ერთეულის ან საწარმოს გაერთიანება ერთ ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულად. კომპანიის ზრდა ხშირად გულისხმობს სხვა ფირმის ან კონკურენტის შექმნას. მისი მიზანია დამატებითი მომხმარებლის მოზიდვა და ბიზნესის გაფართოება ახალი პროდუქტების, სერვისებისა და ტექნოლოგიების დანერგვით. შვილობილი კომპანიები აწარმოებენ დამოუკიდებელ საბუღალტრო აღრიცხვას, რომელიც შემდეგ ერთიანდება მშობელი კომპანიის ანგარიშებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით. დღესდღეობით საწარმოთა გაერთიანება უფრო აქტიურ და გლობალურ სახეს იღებს, იზრდება საერთაშორისო დონეზე მოქმედი კომპანიების რიცხვი, შესაბამისად იზრდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების როლი და ადგილი პრაქტიკულ საქმიანობასა თუ საერთაშორისო სტანდარტებში.

მომხმარებელი დაინტერესებულია არა მხოლოდ ცალკეული კომპანიის ფინანსური შედეგით, არამედ მთლიანად ჯგუფის დონეზე არსებული ინფორმაციით, რომლის ერთადერთი წყარო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ახდენს ჯგუფის ცალკეული კომპანიების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩანაცვლებას, არამედ უზრუნველყოს ჯგუფის ქონებისა და ფინანსური მდგომარეობის ობიექტურ და სრულ ხედვას ერთიანი ეკონომიკური ერთეულის სახით. ის საშუალებას აძლევს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ფართო სპექტრს - ინვესტორებს, ფინანსურ ანალიტიკოსებს, ბიზნესმენებს, სახელმწიფო ორგანოებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიმოიხილონ ჯგუფის საერთო სახე, განსაზღვრონ ბიზნესის სიჯანსაღე და თითოეული შვილობილი კომპანიის გავლენა

მშობელ კომპანიაზე. ამის გარეშე დაინტერესებული პირებისთვის ძნელი იქნება ჯგუფში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მოპოვება საერთო სურათის დანახვის მიზნით.

ამ ტიპის ანგარიშგების მიზანია უზრუნველყოს სრული და საიმედო ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ და კომპანიების ჯგუფების ფინანსური ეფექტურობის შესახებ, რაც აუცილებელია მომხმარებლებისთვის ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. შიდაჯგუფურმა ოპერაციამ შეიძლება შექმნას არარეალური სურათი ჯგუფის აქტიურობის, მისი გაყიდვების, ხარჯების, მარაგების და ფინანსური შედეგების შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კი წარმოადგენს უფრო ობიექტურ სურათს ეკონომიკური ერთეულის ოპერაციებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს შიდაჯგუფურ ოპერაციებს გავლენას.

თუ კომპანია წარადგენს მხოლოდ ინდივიდუალურ შედეგს და არ გაითვალისწინებს არსებული კავშირებით შექმნილ შესაძლებლობებს, მაშინ მოწოდებული ინფორმაცია არ იქნება რელევანტური დაინტერესებული მხარეებისთვის. ეს ლოგიკურიცაა, რადგან კომპანიის ბიზნესის ბუნება, რისკები და განვითარების პერსპექტივები სწორედ კომპლექსურ და ერთაინ ბაზაზე მომზადებულ ანგარიშგებაში წარმოჩინდება.

საწარმოთა გაერთიანების წყალობით, მათ წევრებს საშუალება მიეცემათ მოიპოვონ ახალი ტექნოლოგიები, გააფართოონ საქმიანობა და ბიზნესი, მოიზიდონ ახალი კვალიფიციური თანამშრომლები, აიღონ სესხები, მიიღონ ეკონომია გადასახდელ გადასახადებზე, შეამცირონ რისკის დონე, გაუმჯობესონ მობილურობა კაპიტალის ბაზარზე ახალი ფორმების შემუშავებისთვის და ა.შ. დადებით მხარეს წარმოადგენს ისიც, რომ საწარმოთა გაერთიანების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად გააძლიერებს ასეთი ეკონომიკური კავშირის საინვესტიციო პოტენციალს, გაზრდის მომგებიანობას და წარმოების ტექნოლოგიურ დონეს.

საქართველოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიხედვით, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმო ვალდებულია სულ მცირე წელიწადში ერთხელ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის დასკვნა. მესამე კატეგორიის საწარმო ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ან ფასს სტანდარტების მიხედვით, თუმცა აუდიტის ჩატარების ვალდებულება არ აქვს. მეოთხე კატეგორიის საწარმო ასევე ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად და განთავისუფლებულია აუდიტის ჩატარების ვალდებულებისგან.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მისი მომზადების პრინციპები თანამედროვე ბიზნესის სამყაროს განუყოფელი და აქტუალური ნაწილია და წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების არსის, მნიშვნელობის, პრინციპების, პერსპექტივებისა და პრობლემების განხილვა.

მოცემული ნაშრომის მიზანია განიხილოს კონკრეტული საწარმოს, სს „თიბისი ბანკის“ მაგალითზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცედურა, შეისწავლოს კონსოლიდირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- განისაზღვროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი კონცეფციები;
- განისაზღვროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები და პროცედურები;
- განისაზღვროს კონსოლიდაციის მეთოდები და მოხდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ზოგადი წესების შესწავლა.

თავი 1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და დანიშნულება

1.1 საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაცია და მისი ფორმები

საწარმო არის საქმიანობებისა და აქტივების ურთიერთდაკავშირებული ჯგუფი, რომლის ფუნქციონირება და მართვა ხდება იმ მიზნით, რომ უშუალოდ მომხმარებლები უზრუნველყოფილნი იყვნენ საქონლითა და მომსახურებით და ინვესტორებმა ან სხვა მესაკუთრეებმა, წევრებმა ან მონაწილეებმა მიიღონ საინვესტიციო შემოსავალი (დივიდენდები ან პროცენტები), ან სხვადასხვა სახის ეკონომიკური სარგებელი კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან¹. მოცემული განმარტება ფასს საბჭომ მიიღო 2018 წლის 22 ოქტომბერს, რითაც ჩანაცვლდა საწარმოს წინა განმარტება: საწარმო არის საქმიანობებისა და აქტივების ურთიერთდაკავშირებული (ინტეგრირებული) კომპლექსი/ჯგუფი, რომლის ფუნქციონირება და მართვა ხდება იმ მიზნით, რომ უშუალოდ ინვესტორებმა ან სხვა მესაკუთრეებმა, წევრებმა ან მონაწილეებმა მიიღონ შემოსავლები დივიდენდების, დანახარჯების შემცირების ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის სახით. შეტანილი ცვლილება ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბიზნესის განმარტების კრიტიკული ნაწილი არის მომხმარებლისთვის საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფა, ხოლო წინა განსაზღვრება დივიდენდებზე, დაბალ ხარჯებსა ან ინვესტორების მიერ მიღებულ სხვა ეკონომიკურ სარგებელზე აკეთებდა აქცენტს. მოცემული ცვლილება ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მისი ადრეული გამოყენება საბჭოს მიერ ნებადართულია.

ფასს 3-ის თანახმად, საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებიც გამოიყენება ამ რესურსების პროდუქციად გარდასაქმნელად. ამავდროულად, იმისთვის, რომ ინტეგრირებული კომპლექსი განიხილებოდეს როგორც საწარმო, არ არის


¹ IAS Board, Article - IASB amends definition of business in IFRS Standard on business combinations, 2018 Year.

სავალდებულო პროდუქციის არსებობა. საწარმოს სამი ელემენტი განიმარტება შემდეგნაირად:² (სქემა 1.1.1)

- რესურსები - ნებისმიერი ეკონომიკური რესურსი, რომელიც პროდუქციას ქმნის, ან გააჩნია პროდუქციის შექმნის უნარი, როდესაც მასზე ჩატარდება ერთი ან მეტი პროცესი. მაგალითად, გრძელვადიანი აქტივები, ინტელექტუალური საკუთრება, აუცილებელი მასალების ან უფლებებისა და დაქირავებულ პირთა მოზიდვის უნარი;
- პროცესი - ნებისმიერი სისტემა, სტანდარტი, პროტოკოლი, კონვენცია ან წესი, რომელიც რესურსის ან რესურსების მიმართ გამოყენებისას, ქმნის პროდუქციას, ან გააჩნია პროდუქციის შექმნის უნარი. მაგალითად: სტრატეგიული მართვის პროცესები, საექსპლუატაციო პროცესები და რესურსების მართვის პროცესები.
- პროდუქცია - შედეგი, რომელიც მიიღება რესურსებისა და ამ რესურსების მიმართ ისეთი პროცესების გამოყენების შედეგად, რომელიც ქმნის პროდუქტს და მომსახურებას მომხმარებლისთვის და მოაქვს შემოსავალი ან გააჩნია შემოსავლების შექმნის უნარი უშუალოდ ინვესტორების ან სხვა მესაკუთრეებისათვის, წევრების ან მონაწილეებისათვის, დივიდენდების, დაბალი დანახარჯების, ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით.

² ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 3 - საწარმოთა გაერთიანება, პუნქტი 87, 2018 წელი.

სქემა 1.1.1³ - საწარმოს იდენტიფიცირება



საქმიანობებისა და აქტივების ინტეგრირებულ კომპლექსს ფორმირების ეტაპზე შეიძლება არ გააჩნდეს პროდუქცია. ასეთ შემთხვევაში, მყიდველმა საწარმომ სხვა ფაქტორები უნდა განიხილოს იმის დასადგენად, ეს კომპლექსი წარმოადგენს თუ არა საწარმოს. ამგვარ ფაქტორებს მიეკუთვნება შემდეგი ფაქტორები:⁴

- დაიწყო თუ არა საწარმომ დაგეგმილი ძირითადი საქმიანობა;
- ჰყავს თუ არა საწარმოს დაქირავებული პირები, გააჩნია თუ არა ინტელექტუალური ქონება და სხვა რესურსები და პროცესები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება რესურსების მიმართ;

³ Mazars USA Accounting team, Article - IASB Clarifies Definition of a Business in IFRS 3, 2019 Year.

⁴ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 3 - საწარმოთა გაერთიანება, პუნქტი ბ10, 2018 წელი.

- მისდევს თუ არა დასახულ გეგმას პროდუქციის საწარმოებლად; და
- შეძლებს თუ არა მომხმარებლის მოძიებას, რომელიც იყიდის მის პროდუქციას.

აუცილებელი არ არის ყველა ამ ფაქტორის არსებობა საქმიანობებისა და აქტივების ამა თუ იმ ინტეგრირებული კომპლექსისათვის ფორმირების ეტაპზე, რათა ისინი ჩაითვალოს საწარმოდ.

საწარმოს ზემოაღნიშნული ელემენტების თავისებურებები განსხვავდება სამეურნეო ერთეულის საქმიანობის დარგისა და მისი საქმიანობის სტრუქტურის მიხედვით, მათ შორის სამეურნეო ერთეულის განვითარების სტადიის მიხედვით. დიდი ხნის დაფუძნებულ საწარმოს ხშირად მრავალი განსხვავებული სახეობის რესურსები, პროცესები და პროდუქცია გააჩნია, ხოლო ახლადშექმნილი საწარმო ხშირად მცირე რესურსსა და პროცესებს ფლობს და ზოგჯერ მხოლოდ ერთი სახეობის პროდუქციას უშვებს. თითქმის ყველა საწარმოს აქვს ვალდებულებები, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ საწარმოს ვალდებულებები ჰქონდეს.

საწარმოთა გაერთიანება არის ცალკეული სამეურნეო ერთეულის ან საწარმოს გაერთიანება ერთ ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულად. ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანების“ თანახმად, სამეურნეო ოპერაცია ან სხვა მოვლენა მხოლოდ მაშინ იდენტიფიცირდება საწარმოთა გაერთიანებად, როდესაც შექმნილი აქტივები და აღებული ვალდებულებები აფუძნებენ საწარმოს. თუ შექმნილი აქტივების ჯგუფი არ იდენტიფიცირდება საწარმოდ, ასეთი ოპერაციები არ მიეკუთვნება საწარმოთა გაერთიანებებს და არ რეგულირდება ფასს 3-ით. ასეთი ოპერაციები აისახება როგორც ჩვეულებრივი აქტივების შექმნა.

აქედან გამომდინარე, საწარმოს განმარტების განსაზღვრა დიდ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესები საწარმოს და აქტივების შექმნისას განსხვავებულია.

საწარმოთა გაერთიანების ოპერაციები ფასს 3-ის მოთხოვნათა შესაბამისად აღრიცხული უნდა იქნეს მხოლოდ შეძენის მეთოდით (acquisition method), რაც იმას ნიშნავს, რომ შეძენის ოპერაცია უნდა აისახოს მყიდველ საწარმოსთან. შეძენის მეთოდის გამოყენება საჭიროებს: მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაციას; შეძენის თარიღის განსაზღვრას; შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, აღებული ვალდებულებებისა და შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის აღიარებასა და შეფასებას; გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვებიდან მიღებული შემოსულობის აღიარებასა და შეფასებას.

საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც, ძირითადად, ჩამოყალიბდა ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების გადაცემით, ან ვალდებულებების წარმოშობით, მყიდველად, ჩვეულებრივ, ჩაითვლება ის სამეურნეო ერთეული, რომელიც გადასცემს ფულად სახსრებს ან სხვა აქტივებს, ან იღებს ვალდებულებებს.

საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც, ძირითადად, სააქციო წილების გაცვლით ჩამოყალიბდა, მყიდველად ჩვეულებრივ ჩაითვლება სამეურნეო ერთეული, რომელიც გამოუშვებს თავის აქციებს. მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირებისას ისეთ საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც სააქციო წილების გაცვლით ჩამოყალიბდა, ასევე განხილულ უნდა იქნეს სხვა სათანადო ფაქტები და გარემოებები, მათ შორის:⁵

- ხმის უფლების შეფარდებითი რაოდენობა გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში, საწარმოთა გაერთიანების შემდგომ – მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება ის გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის მესაკუთრეები, როგორც ჯგუფი, ინარჩუნებენ ან იღებენ ხმის უფლების უდიდეს ნაწილს გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში. იმის დასადგენად, მესაკუთრეთა რომელი ჯგუფი ინარჩუნებს ან იღებს ხმის უფლების უდიდეს ნაწილს, სამეურნეო ერთეულმა უნდა განიხილოს ხმის უფლების შესახებ არსებული ნებისმიერი

⁵ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 3 - პუნქტები ბ15, 2017 წელი

განსაკუთრებული ან სპეციალური შეთანხმებები და ოფციონების, ვარანტებისა ან კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების არსებობა;

- ხმის უფლების დიდი უმცირესობის წილის არსებობა გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში, თუ არც ერთ სხვა მესაკუთრეს ან მესაკუთრეთა ორგანიზებულ ჯგუფს არ გააჩნია ხმის უფლების მნიშვნელოვანი წილი – მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის ერთადერთ მესაკუთრეს ან მესაკუთრეთა ორგანიზებულ ჯგუფს გააჩნია ხმის უფლების დიდი უმცირესობის წილი გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში;
- გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის მმართველობითი ორგანოს შემადგენლობა – მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის მესაკუთრეებსაც აქვთ გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობის არჩევის, დანიშვნის, ან მოხსნის უფლება;
- გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ზედა რგოლების მენეჯერთა (ხელმძღვანელთა) შემადგენლობა – მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის (ყოფილი) ხელმძღვანელობაც დომინირებს გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელობაში;
- სააქციო წილის გაცვლის პირობები – მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომელიც იხდის პრემიას სხვა გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ან ერთეულების სააქციო წილების გაერთიანებამდელი რეალური ღირებულების ზემოთ.

მყიდველი, ჩვეულებრივ, არის გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის სიდიდე (გამოსახული, მაგალითად, აქტივებით, ამონაგებით ან მოგებით) მნიშვნელოვნად უფრო დიდია, ვიდრე სხვა გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ან ერთეულების.

საწარმოთა გაერთიანებაში, რომელშიც ორზე მეტი სამეურნეო ერთეული შედის, მყიდველი

საწარმოს დადგენისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული,

რომელმა გაერთიანებულმა სამეურნეო ერთეულმა წამოიწყო გაერთიანება, ასევე გაერთიანებული სამეურნეო ერთეულების შესაბამისი სიდიდე.

მყიდველმა საწარმომ უნდა დაადგინოს შეძენის თარიღი, რომელიც არის თარიღი, როდესაც ის კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე. თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე, საზოგადოდ, არის თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო იურიდიულად გადასცემს კომპენსაციას, იძენს შეძენილი საწარმოს აქტივებს და იღებს მის ვალდებულებებს, ანუ გარიგების დახურვის თარიღი. თუმცა, მყიდველმა საწარმომ შეიძლება კონტროლი ისეთი თარიღისთვის აიღოს, რომელიც წინ უსწრებს ან მოსდევს გარიგების დახურვის თარიღს. მაგალითად, შეძენის თარიღი წინ უსწრებს გარიგების დახურვის თარიღს, თუ წერილობითი შეთანხმებით დაშვებულია, რომ მყიდველმა საწარმომ შეძენილ საწარმოზე კონტროლი აიღოს გარიგების დახურვის თარიღამდე. შეძენის თარიღის დადგენისას მყიდველმა საწარმომ უნდა განიხილოს საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და გარემოება.

საწარმოთა ჯგუფს ქმნის მშობელი საწარმო და მისი შვილობილი საწარმოები. ფასს 10 , ფასს 9 და ბასს 28 გვთავაზობს ჯგუფის მონაწილეთა შემდეგ განმარტებებს:

- მშობელი საწარმო-საწარმო, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს;
- შვილობილი საწარმო - საწარმო, რომელსაც აკონტროლებს სხვა საწარმო.
- მეკავშირე საწარმო - საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა.
- ერთობლივი საწარმო - ერთობლივი საქმიანობა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლის უფლება საქმიანობაზე, აქვთ უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე.

- ფინანსური ინსტრუმენტი - ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმოს გაერთიანებების დროს არსებული ურთიერთობების სახე შესაძლებელია შემდეგი ცხრილის სახით წარმოვადგინოთ:

სქემა 1.1.2⁶ - ინვესტიციის სახეები

ურთიერთობის სახე	კრიტერიუმი	ურთიერთობის სახე და მარეგულირებელი სტანდარტი
შვილობილი საწარმო	კონტროლის უფლება (>50%)	სრული კონსოლიდაცია - ფასს 10, ფასს 3
ერთობლივი საქმიანობა	ერთობლივი კონტროლი	ბასს 28
მეკავშირე	მნიშვნელოვანი გავლენა (20%-50 %)	წილობრივი მეთოდი (ბასს 28), (ფასს 11)
ფინანსური ინსტრუმენტი	ინვესტიცია შემოსავლის მიღების მიზნით (20%<)	ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით (ფასს 9)

⁶ Financial Accounting F7, BPP, 2018-page 121.

ინვესტორმა აუცილებლად უნდა დაადგინოს აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, რათა განსაზღვროს წარმოადგენს თუ არა ის მშობელ საწარმოს. ინვესტორი მხოლოდ მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია:

- უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით;⁷

ინვესტორს მაშინ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, როდესაც აქვს მოქმედი უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს.

- ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება. ⁸

ინვესტორი მაშინ ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, თუ მისი მონაწილეობით განპირობებული შემოსავლები შეიძლება იცვლებოდეს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით. ინვესტორის შემოსავლები შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, მხოლოდ უარყოფითი, ან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

- შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით.⁹

ინვესტორი მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია არა მარტო უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით და ექვემდებარება

⁷ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 10 - პუნქტები 10-14, 2015 წელი

⁸ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 10 - პუნქტები 15-16, 2015 წელი

⁹ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 10 - პუნქტები 17-18, 2015 წელი.

რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, არამედ იმავდროულად აქვს იმის უნარი, თავისი უფლებამოსილება გამოიყენოს ინვესტირებულ საწარმოში მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით. ინვესტორმა უნდა განიხილოს ყველა ფაქტი და გარემოება, რათა დაადგინოს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს. თუმცა თანამედროვე ბიზნეს გარემო მუდმივი ცვალებადობით ხასიათდება და ამიტომ აუცილებელია ფაქტებზე და გარემოებებზე დაკვირვება. თუ ისინი მიაწინებენ კონტროლის არსებობის განმსაზღვრელი ერთი ან მეტი ელემენტის ცვლილებას, მაშინ ინვესტორმა ხელახლა უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს.

ორი ან რამდენიმე ინვესტორი კოლექტიურად აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს იმ შემთხვევაში, თუ მათ ერთად უნდა იმოქმედონ რელევანტური საქმიანობების მართვის განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან არც ერთ ინვესტორს არ შეუძლია ამ საქმიანობების მართვა სხვებთან თანამშრომლობის გარეშე, ცალ-ცალკე არც ერთი ინვესტორი არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს.

თუ ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის ხმის უფლების 20% ან მეტი, მაშინ მიიჩნევა, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. სხვა ინვესტორის მიერ ამავე საწარმოში მნიშვნელოვანი წილის, ან საკონტროლო პაკეტის ფლობა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე საწარმოს არ შეიძლება გააჩნდეს მნიშვნელოვანი გავლენა მოცემულ საწარმოზე.

მნიშვნელოვანი გავლენის არსებობა, როგორც წესი, დასტურდება ერთი ან რამდენიმე შემდეგი ფაქტით:

- ინვესტორის წარმომადგენლის არსებობა ინვესტირებული საწარმოს დირექტორთა საბჭოში ან სხვა ანალოგიურ მმართველობით ორგანოში;

- მონაწილეობის მიღება პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, დივიდენდებისა და სხვა განაწილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ჩათვლით;
- საწარმოსა და ინვესტირებულ საწარმოს შორის განხორციელებული არსებითი ოპერაციებით;
- მმართველი პერსონალის ურთიერთგაცვლით;
- მნიშვნელოვანი ტექნიკური ინფორმაციის მოწოდებით.

საწარმო მაშინ კარგავს მნიშვნელოვან გავლენას ინვესტირებულ საწარმოზე, როდესაც კარგავს საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილებას. საწარმომ მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება დაკარგოს საკუთრების წილის აბსოლუტურ ან შეფარდებით დონეებში ცვლილებების გარეშე. მაგალითად, როდესაც მეკავშირე საწარმო ხდება მთავრობის, სასამართლოს, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი ორგანოს კონტროლის ობიექტი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვა შეიძლება განაპირობოს ასევე სახელშეკრულებო შეთანხმებამ.

ფასს 10 მოითხოვს, რომ მშობელმა საწარმომ, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე შვილობილ საწარმოს, წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარმოდგენილია ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის სახით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართულია როგორც შიდა, ასევე უცხოეთში მდებარე შვილობილი კომპანიები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას დიდ როლს თამაშობს ჯგუფის წევრების ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის არსებობა. თუ ჯგუფში შემავალი რომელიმე წევრი ანალოგიური ოპერაციებისა და ანალოგიურ გარემოებებში მომხდარი

მოვლენებისთვის იყენებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, მაშინ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სათანადო კორექტირებები უნდა გაკეთდეს ჯგუფის ზემოაღნიშნული წევრის ფინანსურ ანგარიშგებაში, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონსოლიდირებისთვის გამოყენებული მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები შედგენილი უნდა იყოს ერთი და იმავე საანგარიშგებო თარიღისთვის. თუ თარიღები განსხვავებულია, შვილობილმა საწარმომ კონსოლიდაციის მიზნებისთვის უნდა მოამზადოს დამატებითი ფინანსური ინფორმაცია მშობელი საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის. თუ შეუძლებელია ამის გაკეთება, მშობელმა საწარმომ ამგვარი შვილობილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდაცია უნდა განახორციელოს შვილობილი საწარმოს ყველაზე ბოლო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც კორექტირებულია იმ მნიშვნელოვანი ოპერაციებისა თუ მოვლენების შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის პერიოდში.

ნებისმიერ შემთხვევაში, შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების თარიღსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს, ხოლო საანგარიშგებო პერიოდებისა და ფინანსური ანგარიშგებების თარიღებს შორის განსხვავების პერიოდის ხანგრძლივობა ერთნაირი უნდა იყოს წლების მანძილზე.

მშობელი საწარმო ვალდებული არ არის, წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ ის აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:¹⁰

- მშობელი საწარმო თვითონ წარმოადგენს სხვა საწარმოს სრულ ან ნაწილობრივ საკუთრებაში მყოფ შვილობილ საწარმოს და მისი ყველა სხვა მესაკუთრე, მათ შორის ისინიც, რომლებიც არ არიან აღჭურვილნი ხმის უფლებით,

¹⁰ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 10 - პარაგრაფი 4, 2015 წელი

ინფორმირებულნი არიან, რომ მშობელი საწარმო არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამის საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუხატავთ;

- მშობელი საწარმოს სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე (ადგილობრივი ან უცხოური საფონდო ბირჟა, ან არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების (მეორადი ბაზარი), როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონული);
- მშობელი საწარმო თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის;
- მისი საბოლოო მშობელი საწარმო, ან რომელიმე შუალედური მშობელი საწარმო ადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც შვილობილი საწარმოები ან კონსოლიდირებულია, ან შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.

თუ მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, იგი:¹¹

- წყვეტს ყოფილი შვილობილი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.
- ყოფილ შვილობილ საწარმოში დარჩენილ ინვესტიციას აღიარებს კონტროლის დაკარგვის თარიღისათვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით და შემდგომში ამ ინვესტიციას და ასევე ყოფილი შვილობილი საწარმოდან მისაღებ, ან მისთვის გადასახდელი ნებისმიერი დავალიანების თანხას ასახავს სხვა შესაფერისი სტანდარტების შესაბამისად. ზემოთ აღნიშნული რეალური

¹¹ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 10 - პარაგრაფი 25, 2015 წელი.

ღირებულება მიიჩნევა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას ფასს 9-ის შესაბამისად განსაზღვრულ რეალურ ღირებულებად, ან როდესაც შესაფერისია, თვითღირებულებად, მეკავშირე საწარმოში, ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის საწყისი აღიარებისას.

- აღიარებს კონტროლის დაკარგვასთან დაკავშირებულ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც მისაკუთვნიებულია ყოფილ მაკონტროლებელ წილზე.

სს „თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წლის 17 დეკემბერს. ბანკი არის სააქციო საზოგადოება შეზღუდული აქციებით და იგი შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. ბანკის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა უნივერსალური საბანკო ოპერაციები საქართველოში, რომლებიც მოიცავს კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოების საცალო და მიკრო ოპერაციებს.

სს თიბისი ბანკის მშობელი კომპანია არის საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია - TBC Bank Group PLC , რომელიც დარეგისტრირებულია ინგლისსა და უელსში. 2016 წლის 1 ივნისს მშობელმა კომპანიამ TBC Bank Group PLC-მ („TBCG“) წარმოადგინა სატენდერო შეთავაზება, რათა გადაეცვალა საკუთარი მთლიანი ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი ბანკის ჩვეულებრივ აქციებში და ამით შეეძინა მთლიანი გამოშვებული სააქციო კაპიტალი, მათ შორის, ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით („GDRs“) წარმოდგენილი აქციები. 2016 წლის 4 აგვისტოს სატენდერო შეთავაზების წარმატებით დასრულების შემდეგ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, TBCG ფლობს ბანკის სააქციო კაპიტალის 98.67% (2016: 98.48%)-ს და ის არის ბანკის საბოლოო მშობელი კომპანია

2017 წლის 31 დეკემბრისთვის თიბისი ბანკის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

კომპანიის დასახელება	ფლობილი კაპიტალის პროპორცია 2017 წელი	ფლობილი კაპიტალის პროპორცია 2016 წელი	საქმიანობისა და რეგისტრაციის ადგილი	დარგი
ბანკი რესპუბლიკის ჯგუფი	–	100.00%	თბილისი, საქართველო	საბანკო საქმიანობა
შპს მერცხალი პირველი	–	100.00%	თბილისი, საქართველო	საოპერაციო ლიზინგი
სს გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია	98.67%	98.67%	თბილისი, საქართველო	ბარათების პროცესინგი
შპს თიბისი კაპიტალი	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	საბროკერო
სს თიბისი ლიზინგი	99.61%	99.61%	თბილისი, საქართველო	ლიზინგი
TBC Kredit LLC	75.00%	75.00%	ბაქო, აზერბაიჯანი	არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტი
შპს საბანკო სისტემის მომსახურების კომპანია	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	საინფორმაციო მომსახურებები
შპს თიბისი ფეი	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	დამუშავება
სს უპრავი ქონების მართვის ფონდი	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	უპრავი ქონების მართვა
TBC Invest LLC	100.00%	100.00%	რამათ გან, ისრაელი	საზ. ურთიერთობა და მარკეტინგი
შპს მალი	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	უპრავი ქონების მართვა
სს კრედიტინფო საქართველო	21.07%	–	თბილისი, საქართველო	ფინანსური შუამავლობა
შპს ონლინე თიქეტსი	26.00%	–	თბილისი, საქართველო	კომპიუტერული და პროგრამული მომსახურება

2017 წელს ჯგუფმა დაასრულა სს ბანკი რესპუბლიკისა და შპს მერცხალი პირველის თიბისი ბანკთან შერწყმის იურიდიული და საოპერაციო პროცესი. შესაბამისად, მპცემული კომპანიები გაერთიანდნენ თიბისი ბანკთან და აღარ განიხილებიან როგორ შვილობილი კომპანიები.

ამ პროცესის გათვალისწინებით, ბანკი ფლობს 6 შვილობილ კომპანიას 100% წილით, 3 შვილობილ კომპანიას, სადაც მისი წილი 50%-ზე მაღალია და ჰყავს ორი მეკავშირე საწარმო.


2017 წლის მდგომარეობით, სს თიბისი ბანკი არ ფლობს ერთობლივ საწარმოს.

1.2 არამაკონტროლებელი წილი და გუდვილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არამაკონტროლებელი წილის და საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი გუდვილის განსაზღვრას. თუ მშობელი კომპანიის მიერ შესწყიდულია შვილობილი საწარმოს კაპიტალის 100%-ზე ნაკლები, შვილობილი საწარმოს ღირებულება შედგება ორი ნაწილისაგან: ნაწილი, რომელიც ეკუთვნის მშობელი საწარმოს და ნაწილი, რომელიც ეკუთვნის შვილობილ საწარმოს. არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი, რომელიც მშობელ საწარმოს არ ეკუთვნის. იგი წარმოიქმნება ნაწილობრივი შესყიდვის დროს.

ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, ან შეძენილი საწარმოს ინდეტიფიცირებად წმინდა აქტივებში არამაკონტროლებელი წილის პროპორციული წილით.

სქემა 1.2.1 - არამაკონტროლებელი წილის შეფასება



ზოგჯერ მყიდველ საწარმოს საშუალება ექნება, არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შემენის თარიღისათვის შეაფასოს ჩვეულებრივი აქციების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასის საფუძველზე. თუმცა, სხვა სიტუაციებში, ჩვეულებრივი აქციებისთვის აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი ხელმისაწვდომი არ იქნება. ასეთ შემთხვევაში, მყიდველმა საწარმომ არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება უნდა შეაფასოს შეფასების სხვა მეთოდებით.

არამაკონტროლებელი წილი თავდაპირველად გამოითვლება კომპანიის შესყიდვის დროს. შემდგომში კი მოცემული წილი კორექტირდება შვილობილი კომპანიის მოგება/ზარალში არსებული ნებისმიერი ცვლილებით (არასაკონტროლო წილის პროცენტის მიხედვით).

სს „თიბისი ბანკი“-ს სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, არასაკონტროლო წილები, რომლებიც არ წარმოადგენს არსებული მფლობელობის წილებს, იზომება რეალური ღირებულებით. არასაკონტროლო წილი არის შვილობილი კომპანიის საბოლოო შედეგი

და კაპიტალს მიკუთვნებული წილები, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს ბანკი. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული შვილობილი კომპანიის შესახებ, რომელსაც აქვს არასაკონტროლო წილი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის:

შვილობილი კომპანია	არასაკონტროლო წილი
სს თიბისი ლიზინგი	0.39%
შპს თიბისი კრედიტი	25%
სს გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია	1.34%

მოცემული შვილობილი კომპანიების შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

შვილობილი საწარმოები	მიმდინარე აქტივები	გრძელვადიანი აქტივები	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულება	შემოსავალი	მოგება	სრული შემოსავალი	ფულის ნაკადი
სს თიბისი ლიზინგი	111,169	87,928	95,988	85,262	15,236	3,436	3,436	2,450
შპს თიბისი კრედიტი	19,771	20,319	11,858	20,636	5,172	1,098	1,098	-3,631
გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია	6,353	5,136	1,255	45	12,708	4,733	4,733	40

მოცემული ცხრილის მიხედვით, სს თიბისი ბანკი დაითვლის 2017 წელს არამაკონტროლებელ წილს წლიური მოგების მაჩვენებლის მიხედვით:

კომპანია	პერიოდის მოგება (1)	არასაკონტროლო წილი % (2)	მოგება მიკუთვნიებული არასაკონტროლო წილისთვის (1*2)
სს თიბისი ლიზინგი	3,436	0.39	14
შპს თიბისი კრედიტი	1,098	25	275
გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია	4,733	1.34	63

მოცემულ თანხა დაემატება დაგროვილ არასაკონტროლო წილი შვილობილ კომპანიაში და მივიღებთ 2017 წლის ბოლოს არსებულ მთლიან არასაკონტროლო წილს.

ფასს 3 ის მიხედვით, გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილ, სხვა აქტივებიდან წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის ცალკე იდენტიფიცირება და აღიარება შეუძლებელია.

გუდვილის ღირებულების განსაზღვრა პირდაპირი მეთოდით შეუძლებელია, იგი განისაზღვრება ნარჩენი სიდიდის საფუძველზე. კერძოდ, ფასს 3-ის თანხმად, გუდვილი წარმოადგენს სხვაობას შემდეგ ორ სიდიდეს შორის: ¹²

1. ჯამური მაჩვენებელი შემდეგი სიდიდეების:

- გადაცემული კომპენსაცია;
- არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში;
- ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში - შეძენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს ადრე კუთვნილი სააქციო წილის რეალური ღირებულება, შეფასებული შეძენის თარიღისთვის.

¹² ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 3 - პარაგრაფი 32, 2017

2. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ალბულო ვალდებულებების წმინდა ღირებულება შეძენის თარიღისათვის.

თუ შეძენის თარიღისათვის პირველი სიდიდის ჯამური მაჩვენებელი აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ალბულო ვალდებულებების წმინდა ღირებულებას, მაშინ საწარმოთა გაერთიანების პროცესში წარმოიქმნება გუდვილი.

რეალური ღირებულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონსოლიდაციისას წარმოქმნილი გუდვილის დათვლისას. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაბამისი რეალურ ღირებულებასთან. მაგალითად, შეიძლება კომპანიის საკუთრებაზე არსებულ შენობაზე საბაზრო ფასი გაიზარდა, თუმცა ის შვილობილი კომპანიის ანგარიშგებაში ისტორიული ღირებულებით აისახება, რასაც აკლდება მხოლოდ ცვეთის თანხა.

შესაბამისად, მშობელმა კომპანიამ უნდა გადააფასოს შვილობილი კომპანიის აქტივები და სწორედ ამ ღირებულებით გაიანგარიშოს გუდვილი.

საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. გადაცემული კომპენსაცია გამოითვლება, როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი¹³: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ ალბულო ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის.

¹³ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 3 - პარაგრაფი 37, 2017 წელი

კომპენსაციის შესაძლო ფორმები მოიცავს: ფულად სახსრებს, სხვა აქტივებს, მყიდველი საწარმოს ბიზნესს ან შვილობილ საწარმოს, პირობით კომპენსაციას, ჩვეულებრივ ან პრივილეგიურ წილობრივ ინსტრუმენტებს, ოფციონებს, ვარანტებს და წევრთა წილებს ერთობლივ სამეურნეო ერთეულებში.

გადაცემული კომპენსაცია შეიძლება შეიცავდეს მყიდველი საწარმოს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა საბალანსო ღირებულება განსხვავდება შეძენის თარიღით განსაზღვრული მათი რეალური ღირებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში, მყიდველმა საწარმომ უნდა გადააფასოს გადაცემული აქტივები ან ვალდებულებები შეძენის თარიღისთვის გამოთვლილ რეალურ ღირებულებამდე, ხოლო მიღებული შემოსულობა ან დანაკარგი, თუ ასეთი არსებობს, აღიაროს მოგებაში ან ზარალში. თუმცა, ზოგჯერ გადაცემული აქტივები და ვალდებულებები გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში რჩება საწარმოთა გაერთიანების შემდეგ (მაგალითად, იმის გამო, რომ აქტივები და ვალდებულებები შეძენილ საწარმოს გადაეცა და არა მათ ყოფილ მესაკუთრებს) და, ამდენად, მყიდველი საწარმო ინარჩუნებს კონტროლს მათზე. ასეთ სიტუაციაში, მყიდველმა საწარმომ ეს აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს უშუალოდ შეძენის თარიღამდე არსებული მათი საბალანსო ღირებულებით და არ უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში ისეთ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობა ან დანაკარგი, რომელსაც ის აკონტროლებდა საწარმოთა გაერთიანებამდეც და მის შემდეგაც.

ფასს 3-ით არსებობს გუდვილის გაანგარიშების ორი მეთოდი:

- ნაწილობრივი გუდვილი (პროპორციული);
- სრული გუდვილი (რეალური ღირებულებით).

გუდვილის გაანგარიშების პროპორციულობის მეთოდი ითვალისწინებს მხოლოდ მშობელი საწარმოს ნაწილის ასახვას შეძენილი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, ანუ გუდვილის მხოლოდ იმ ნაწილის ასახვას, რომელიც შეძენილია.

გუდვილის ის ნაწილი, რომელიც არ არის შექმნილი მშობელი საწარმოს მიერ, არ აისახება კონსოლიდირებულ ბალანსში. სრული გუდვილის მეთოდი ითვალისწინებს მთლიანად ჯგუფის გუდვილის ასახვას, რომელიც ეკუთვნის მშობელი საწარმოს და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს.

გუდვილი არ ამორტიზირდება, თუმცა შეიძლება გაუფასურდეს და ამიტომ გუდვილმა ყოველ წელს უნდა გაიაროს გაუფასურების ტესტი. გუდვილის, როგორც ინდივიდუალური აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე შეუძლებელია. მიზეზი მარტივია - გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა შეუძლებელია:

- როგორც ინდივიდუალური აქტივი გუდვილი ბაზარზე ვერ გაიყიდება - შესაბამისად მისი სამართლიანი ღირებულება უცნობია;
- გუდვილის გამოყენებითი ღირებულების დადგენაც შეუძლებელია, რადგან მას დამოუკიდებლად ფულადი ნაკადების მოზიდვა არ შეუძლია.

აქედან გამომდინარე, გუდვილის გაუფასურებაზე ტესტირებას უნდა მივუდგეთ როგორც ბიზნესის შეფასებას. კერძოდ, კი, ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება, გუდვილის ჩათვლით, უნდა შევადაროთ მის ანაზღაურებად ღირებულებას. ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული არის აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომელიც წარმოქმნის ისეთი ფულადი ნაკადების შემოსვლას საწარმოში, რომლებიც მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

როდესაც მშობელი კომპანია ყიდულობს შვილობილ საწარმოს, ის განსაზღვრავს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს და გაიანგარიშებს გუდვილის. თუ ბიზნესი რამდენიმე ასეთი დანაყოფისგან შედგება, მაშინ კომპანიას რამდენიმე ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული ექნება და მოცემული გუდვილი მათ შორის გადანაწილდება.

გუდვილს გაუფასურებაზე ტესტირებისას მშობელი კომპანია განსაზღვრავს:

- ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება, მიკუთვნებული გუდვილის გათვალისწინებით;
- ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება;

თუ საბალანსო ღირებულება აღემატება ანაზღაურებად თანხას, მაშინ საჭიროა გაუფასურების ზარალის აღიარება. თუმცა, რადგან გაუფასურების ზარალი დაკავშირებულია ფულადი ნაკადების წარმომქმნელ რამდენიმე ერთეულთან, მაშინ:

- პირველ რიგში უნდა შემცირდეს შესაბამისი გუდვილი;
- თუ მაინც დარჩება გაუფასურების ზარალი, მაშინ ერთეულების დონეზე შემცირდება ინდივიდუალური აქტივების საბალანსო ღირებულება პროპორციული განაკვეთით.

თუ გაუფასურების ტესტით დადგინდა, რომ გუდვილი ნამდვილად გაუფასურდა და მშობელი კომპანია არამაკონტროლებელ წილს აღრიცხავს პროპორციული მეთოდით, მაშინ გუდვილი ჩამოიწერება ჯგუფის გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე.

როდესაც არამაკონტროლებელი წილი შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული გუდვილი შეიცავს არამაკონტროლირებელ წილზე მიკუთვნებულ გუდვილსაც და გუდვილის ჩამოწერა ჯგუფის გაუნაწილებელ მოგებასა და არამაკონტროლებელ წილს შორის განაწილდება.

იშვიათად, მყიდველი საწარმო ხელსაყრელ შესყიდვას აწარმოებს, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა ისეთ გაერთიანებას, რომელშიც მყიდველის მიერ გადახდილი ფასი ნაკლებია შესყიდული კომპანიის წმინდა აქტივების ღირებულებაზე. მაგალითად, ხელსაყრელ შესყიდვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც წარმოადგენს იძულებით გაყიდვას, სადაც გამყიდველი იძულებით მოქმედებს.

ხელსაყრელი შესყიდვით მიღებული შემოსულობის აღიარებამდე, მყიდველმა საწარმომ ხელახლა უნდა განიხილოს, სწორად განსაზღვრა თუ არა ყველა შემენილი აქტივი და ყველა აღებული ვალდებულება და უნდა აღიაროს ნებისმიერი დამატებითი აქტივი ან

ვალდებულება, რომლებიც ამ შემოწმებისას გამოვლინდა. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლისთვის მყიდველმა საწარმომ შემდეგში უნდა გადახედოს პროცედურებს, რომლებიც გამოყენებული იყო იმ თანხების შეფასებისას, რომელთა აღიარებასაც ფასს 3 მოითხოვს შექმნის თარიღით: ¹⁴

- შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები;
- არამაკონტროლებელი წილი შექმნილ საწარმოში, თუ ასეთი არსებობს;
- ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში, სააქციო წილი შექმნილ საწარმოში, რომელიც ადრე მყიდველ საწარმოს ეკუთვნოდა;
- გადაცემული კომპენსაცია.

ამგვარი მიმოხილვის მიზანია იმაში დარწმუნება, რომ შეფასებები შესაბამისად ასახავს ყველა შესაძლო ინფორმაციის განხილვას შექმნის თარიღისათვის.

სს “თიბისი ბანკი“ გუდვილს აფასებს შესაძენი კომპანიისთვის გადაცემული მთლიანი ანაზღაურებიდან შექმნილი კომპანიის წმინდა აქტივების დაქვითვით, შექმნილ კომპანიაში არასაკონტროლო წილის მოცულობით და შექმნის თარიღამდე მყისიერად ფლობილ შექმნილ კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“) აღიარდება მოგება-ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს გამოავლინა თუ არა მან ყველა შექმნილი აქტივი და ყველა ვალდებულება და აღებული გაუთვალისწინებელი ვალდებულებები, და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

კომპანიაში გუდვილი წარმოდგენილია თვიღირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფი ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველ წელს. გუდვილი მიეკუთვნება ფულის-გენერირების აქტივს ან ფულის გენერირების აქტივების ჯგუფს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს ნახავს საწარმოთა გაერთიანებების შედეგად. ასეთი

¹⁴ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 3, პარაფრაფი 34-36

აქტივები ან აქტივების ჯგუფები წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ჯგუფი აკონტროლებს გუდვილს, და აღარ არის საოპერაციო სემენტი. მოგებები ან დანაკარგები იმ ოპერაციის განკარგვასთან დაკავშირებით ფულის გენერირების აქტივის ფარგლებში, რომელშიც განაწილდა გუდვილი, მოიცავს გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც უკავშირება განკარგულ ოპერაციას. ეს ზოგადად იზომება განკარგული ოპერაციის შედარებით ღირებულებების საფუძველზე და ფულის გენერირების აქტივის ნაწილზე, რომელიც დაკავებულია.

სს თიბისი ბანკის დინამიკა გუდვილში, რომელიც წარმოიქმნა შვილობილი კომპანიების შეძენის შედეგად შემდეგია:

ათას ლარში	2017	2016
საბალანსო ღირებულება 1 იანვრისთვის	26,892	2,726
შვილობილის კომპანიის შეძენა	-	24,166
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრისთვის	26,892	26,892

ვინაიდან 2017 წელს კომპანიას არ შეუსყიდია სხვა შვილობილი კომპანია, გუდვილის საბალანსო ღირებულება წლის მანძილზე არ შეცვლილა.

გუდვილის გაუფასურების ტესტი

გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებენ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ბანკი ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი უნდა აღებატებოდეს საოპერაციო სემენტის სიდიდეს.

გუდვილის განაწილება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებს შორის შემდეგია:

ათას ლარში	2017	2016
სს ბანკი რესპუბლიკა¹⁵	24,166	24,166
ბანკი რესპუბლიკა საცალო	11,088	-
ბანკი რესპუბლიკა კორპორატიული	7,491	-
ბანკი რესპუბლიკა MSME	4,791	-
ბანკი რესპუბლიკა სხვა	796	-
CGU მიკრო	769	769
სს გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია	695	695
TBC Kredit LLC	1,262	1,262
სულ გუდვილის საბალანსო ღირებულება	26,892	26,892

თითოეული ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენებითი ღირებულების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს აქტივიდან ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებას. ამ გათვლებისთვის გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ფინანსური ბიუჯეტით განსაზღვრული ფულადი სახსრების ნაკადები, რომელიც მოიცავს ხუთწლიან პერიოდს. ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ ფულადი სახსრების ნაკადები ფასდება გადაანგარიშებული ზრდის კოეფიციენტების გამოყენებით.

¹⁵ 2017 წელს, სს ბანკ რესპუბლიკასთან შერწყმის გამო, გუდვილის ნარჩენი ღირებულება გადანაწილდა ბანკის სხვადასხვა “CGU”-ებზე, რაც უდრის საოპერაციო და სააღრიცხვო სეგმენტებს. (სს თიბისი ბანკი - აუდიტის დასკვნა, 2017 წელი)

დისკონტირების განაკვეთები კი წარმოადგენს გადასახადების გადახდამდე საპროცენტო განაკვეთს და ასახავს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებს.

ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლისას კომპანიამ გამოიყენა შესაბამისი ინფორმაციის და გამოთვლების შედეგად მიღებული შემდეგი დამშვებები:

კომპანია/კრიტერიუმები	2017	2016
სს ბანკი რესპუბლიკა¹⁶		
ზრდის კოეფიციენტი კაპიტალში თავისუფალი ფულადი სახსრების ნაკადის ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ	4.17%	4.00%
გადასახადის გადახდამდე დისკონტირებული განაკვეთი	18.71%	21.72%
CGU SME / სს ბანკი კონსტანტა		
ზრდის კოეფიციენტი კაპიტალში თავისუფალი ფულადი სახსრების ნაკადის ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ	4.17%	4.00%
გადასახადის გადახდამდე დისკონტირებული განაკვეთი	12.01%	14.39%
სს გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია		
ზრდის კოეფიციენტი კაპიტალში თავისუფალი ფულადი სახსრების ნაკადის ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ	4.17%	4.00%
გადასახადის გადახდამდე დისკონტირებული განაკვეთი	18.16%	19.18%
TBC Kredit LLC		
ზრდის კოეფიციენტი კაპიტალში თავისუფალი ფულადი სახსრების ნაკადის ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ	1.3%	4.00%

¹⁶ სს ბანკ რესპუბლიკასთან დაკავშირებული ვარაუდები მსგავსია ყველა სხვა “CGU”-ს თან დაკავშირებული ვარაუდებისა. (სს თიბისი ბანკი - აუდიტის დასკვნა, 2017 წელი)

გადასახადის გადახდამდე დისკონტირებული განაკვეთი	31.35%	28.10%
---	--------	--------

თუ მოცემული განაკვეთებით გამოანგარიშებული ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება ნაკლებია ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ ჯგუფს არ დასჭირდება გუდვილის საბალანსო ღირებულების ან ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის წმინდა აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება. შესაბამისად, გუდვილი არ გაუფასურდება.

გუდვილისა და სამართლიანი ღირებულების რეგულირება, რომელიც წარმოიქმნება უცხოური საწარმოს შეძენისას, მიიჩნევა უცხოური საწარმოს აქტივებად და ვალდებულებებად და კონვერტირება ოპერაციის დასრულების დღეს.

თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს დონეზე

2.1 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შვილობილი კომპანიის დონეზე

2.1.1 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენა დაფუძნებულია მშობელი და შვილობილი კომპანიების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის გაერთიანებაზე. თუმცა, კონსოლიდირება არ გულისხმობს ანალოგიური აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების პირდაპირ დაჯამებას. იგი მოიცავს მთელ რიგ სპეციალურ გაანგარიშებას და წარმოგვიდგება განსაზღვრული პროცედურების სახით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარმოდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები¹⁷. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენით ინფორმაციის მომხარებელს ეძლევათ დასაბუთებული და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალება. არსებობს კონსოლიდაციის სამი მეთოდი:

¹⁷ ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ფასს. თბ., 2015. დანართი ა.

სქემა 2.1.1 - კონსოლიდაციის სახეები




სრული კონსოლიდაცია გამოიყენება მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის დროს. სრული კონსოლიდაციის დროს, აგრეგირებას ექვემდებარება შვილობილი საწარმოს ყველა აქტივი და ვალდებულება, ხოლო არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება განცალკევებულად, კაპიტალის ნაწილში. ამ მეთოდის გამოყენების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთლიან ეკონომიკურ ერთეულს.

კონსოლიდირებული ბალანსის ძირითადი მიზანია ჯგუფის ყველა აქტივისა და ვალდებულების ჩვენება. შედეგად, კონსოლიდირებული ბალანსი ასახავს:

- ჯგუფის წმინდა აქტივებს (მშობელი + შვილობილი საწარმო);
- ჯგუფის სააქციო კაპიტალს (რაც ყოველთვის მშობელი საწარმოს სააქციო კაპიტალის ტოლია);
- ჯგუფის გაუნაწილებელ მოგებას.

მშობელი და შვილობილი საწარმოს ბალანსის ერთგვაროვანი მუხლების კონსოლიდირება/გაერთიანება ითვალისწინებს შემდეგი პროცედურების ჩატარებას:

სქემა 2.1.2¹⁸ - კონსოლიდაციის პროცედურა



მშობელი საწარმოს ბალანსში ასახული „შვილობილ საწარმოში დაბანდებული ინვესტიციების“ მუხლს ჩაანაცვლებს შვილობილი საწარმოს შესაბამისი წმინდა აქტივებით. ამ დროს გასათვალისწინებელია, რომ შვილობილ საწარმოში დაბანდებული ინვესტიციების თვითღირებულება ანულირდება შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალთან და რეზერვებთან და ჯგუფის სააქციო კაპიტალი ყოველთვის მხოლოდ მშობელი საწარმოს სააქციო კაპიტალია.

შვილობილი საწარმოს შეძენის თარიღისათვის არსებულ გაუნაწილებელ მოგებას და რეზერვებს ეწოდება „შექენამდელი მოგება“ და „შექენამდელი რეზერვები“. შეძენის თარიღისათვის ხდება მათი კაპიტალიზება გუდვილის გამოთვლებში მათი გათვალისწინების გზით, ანუ მათი სიდიდე ღებულობს მონაწილეობას გუდვილის ღირებულების გაანგარიშებაში. მშობელი და შვილობილი საწარმოების მიერ ერთად შექმნილ მოგებას და რეზერვებს ეწოდება „შექენის შემდგომი მოგება“ და „შექენის შემდგომი რეზერვები“, რომელიც ეკუთვნის ჯგუფს მისი წილის პროპორციულად.

¹⁸ კორპორაციული ანგარიშგება - ნადეჟდა კვატაშიძე, თბილისი 2019.

კონსოლიდაციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია „შეძენამდელი“ და „შეძენის შემდგომი“ გაუნაწილებელი მოგებისა და რეზერვების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. „შეძენამდელი“ ნიშნავს შეძენის თარიღისათვის არსებულს, ხოლო „შეძენის შემდგომი“ ნიშნავს შვილობილი საწარმოს შეძენის შემდეგ ერთობლივად შექმნილს. კონსოლიდაციის დროს სწორედ შეძენის შემდგომი მოგების შესაბამისი წილი ემატება მშობელი კომპანიის მოგებას, რომლის შეიძლება დაკორექტირდეს შიდაჯგუფური ვაჭრობით, აქტივების რეალური ღირებულების შემცირებით, გუდვილის გაუფასურებით და ა.შ.

შიდაჯგუფური ოპერაციების კორექტირება - ჯგუფის წევრებს შორის შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ოპერაციები, როგორცაა: საქონლის ან ძირითადი საშუალებების მიწოდება, მომსახურების გაწევა, დროებითი ფინანსური დახმარება, სესხის გაცემა დივიდენდების გაცემა, მონაწილეობა ცენტრალურ ადმინისტრაციულ საქმიანობაში და სხვა.

კონსოლიდირებულ ბალანსში საწარმოთაშორისი ოპერაციებით წარმოქმნილი მუხლები ანულირდება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ოპერაციების ორმაგად ასახვა. საჭირო ხდება გარკვეული კორექტირება, კერძოდ, უნდა განხორციელდეს შიდაჯგუფური მოგება/ზარალისა და შიდასაანგარიშსწორებო ოპერაციებით წარმოქმნილი მოთხოვნა-ვალდებულებების ანულირება .

ჯგუფი განიხილება როგორც ერთი სამეურნეო ერთეული და მის წევრებს შორის ერთმანეთთან სავაჭრო ურთიერთობებით არ შეიძლება წარმოიქმნას მოგება. თუმცა ჯგუფის წევრები ერთმანეთზე ყიდიან საქონელს/მომსახურებას და ამ ოპერაციებოდან მიღებული მოგებას ეწოდება არარეალიზებული მოგება. მოგება მაშინ იქნება რეალიზებული, როდესაც ეს ფასნამატი ჯგუფიდან ჩამოიწერება. ამიტომ, როდესაც ჯგუფის ერთი წევრი ჯგუფის მეორე წევრს მიჰყიდის საქონელს და ამ საქონლის ნაწილი წლის ბოლოს ისევ არის კომპანიის ბალანსზე, კონსოლიდაციის დროს უნდა მოხდეს წლიური მოგების ანულირება და მარაგის დაყვანა თვითღირებულებამდე.

შიდაჯგუფური ვაჭრობის შემთხვევაში, კონსოლიდაციის მიზნებისათვის, უნდა განხორციელდეს შემდეგი პროცედურა:

- განისაზღვროს მარაგის გამყიდველი, ანუ საწარმო რომელთანაც წარმოიქმნა არარეალიზებული მოგება;
- განისაზღვროს არარეალიზებული მოგების სიდიდე;
- ჩატარდეს კონსოლიდაციის კორექტირება: არარეალიზებული მოგების სიდიდით შემცირდეს გაუნაწილებელი მოგება და მარაგი, რითაც ანულირდება მოგება და მარაგი დაიყვანება თვითღირებულებამდე.

მაგრამ, კორექტირების წესი დამოკიდებულია იმაზე, ერთის მხრივ თუ ვინ არის გამყიდველი და მეორეს მხრივ, თუ გამყიდველი შვილობილი საწარმოა, რა წილს ფლობს მშობელი საწარმო შვილობილ საწარმოში. როდესაც გამყიდველი მშობელი საწარმოა, მისი მოგება ჩართულია ჯგუფის ანგარიშგებაში და კორექტირებაც (შემცირება) გაუკეთდება მთლიან ჯგუფის მოგებას და მარაგს გატარებით:

- დებეტი - გაუნაწილებელი მოგება (კონსოლიდირებული/ჯგუფის)
- კრედიტი - მარაგი (კონსოლიდირებული/ჯგუფის)

როდესაც გამყიდველი შვილობილი საწარმოა და არის მთლიანად ფლობილი, არარეალიზებული მოგება ჩართულია შვილობილი საწარმოს ანგარიშგებაში, რომელიც სრულად უკავშირდება ჯგუფის მოგებას. ამიტომ გაკეთდება იგივე კორექტირება, რაც იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი მშობელი საწარმოა, გატარებით:

- დებეტი - გაუნაწილებელი მოგება (კონსოლიდირებული/ჯგუფის)
- კრედიტი - მარაგი (კონსოლიდირებული/ჯგუფის)

როდესაც შვილობილი საწარმო არ არის მთლიანად ფლობილი, არის ნაწილობრივად ფლობილი, მისი მოგება ნაწილობრივ უკავშირდება ჯგუფს, ნაწილობრივ კი არამაკონტროლებელ წილს. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ამ შემთხვევაში

არარეალიზებული მოგება პროპორციულად გადანაწილდება არამაკონტროლებელ წილსა და გაუნაწილებელ მოგებას შორის. კორექტირება გაკეთდება შემდეგი გატარებით:

- დებეტი - გაუნაწილებელი მოგება (კონსოლიდირებული/ჯგუფის)
- დებეტი- არამაკონტროლებელი წილი
- კრედიტი - მარაგი (კონსოლიდირებული/ჯგუფის)

ჯგუფის წევრებს შორის შესაძლებელია განხორციელდეს გრძელვადიანი აქტივების მიწოდებაც. ამ შემთხვევაშიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური, არარეალიზებული მოგება-გაყიდვის ფასნამატი. ფასნამატიდან რეალიზებულად ჩაითვლება დარიცხული ცვეთის თანხა, რადგან ის აღიარდა ხარჯად მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო ფასნამატის თანხა, რომელიც ჯერ არ აღიარებულა ცვეთის თანხათ -არის არარეალიზებული მოგება და კონსოლიდაციის დროს უნდა მოხდეს ამ მოგების ანულირება. კორექტირება ითვალისწინებს არარეალიზებული მოგების დადგენას და მაკორექტირებელ გატარებას კონსოლიდაციის პროცესისას.

შიდაჯგუფური ფულადი და სასაქონლო ანგარიშსწორების ოპერაციები აისახება დებიტორ-კრედიტორების ანგარიშებზე, ანუ ერთი საწარმოს დებიტორული დავალიანების ანგარიშზე და მეორე საწარმოს კრედიტორული დავალიანების ანგარიშზე. ეს თანხები მისაღებია და გადასახდელია ჯგუფის ფარგლებში. ამიტომ კონსოლიდაციის დროს შიდაჯგუფური საანგარიშსწორებო ოპერაციებით წარმოქმნილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების საბალანსო მუხლები ანულირდება გატარებით:

- დებეტი- კრედიტორული დავალიანება
- კრედიტი -დებიტორული დავალიანება

მაგრამ, შესაძლებელია რომ მათი ნაშთები არ შეესაბამებოდეს ერთმანეთს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ტრანზიტული ოპერაციები (ფულის გადარიცხვა ან საქონლის მიწოდება) ჯერ არ იქნა ასახული ერთ-ერთი მხარის მიერ. თუ საქონელი ან ფულადი

სახსრები იმყოფება მშობელი და შვილობილ საწარმოებს შორის გზაში, კონსოლიდაციის მიზნებისათვის მიმღების ბალანსში უნდა გაკეთდეს მაკორექტირებელი გატარება:

- დებეტი - ფულადი სახსრები
- კრედიტი - დებიტორული დავალიანება

- დებეტი- მარაგი
- კრედიტი - კრედიტორული დავალიანება

შვილობილი საწარმოს დივიდენდები და პროცენტები - ბასს 10 „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“-ს თანახმად, ბალანსის შედგენის შემდეგ გამოცხდებული დივიდენდები არ აისახება ვალდებულებად ბალანსში. ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადება მოხდა ბალანსის შედგენის თარიღამდე. გადახდილი დივიდენდები არ ექვემდებარება არანაირ კორექტირებას, რადგან უკვე ასახულია მიმღები და გადამხდელი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. დარიცხული დივიდენდები საჭიროებს კორექტირებას: გადამხდელი საწარმოს მიერ აღიარებული ვალდებულება და მიმღები საწარმოს მიერ აღიარებული მოთხოვნა კონსოლიდაციის დროს ექვემდებარება ანულირებას.

გადასახდელი პროცენტი მიმღებ საწარმოში აღიარდება მოთხოვნად, გადამხდელ საწარმოში - ვალდებულებად, კონსოლიდაციის დროს მოხდება მათი ანულირება, ვალდებულების ანგარიშზე დარჩენილი სხვაობა არის გარეშე მხარეზე გადასახდელი მოკლევადიანი ვალდებულება.

სს თიბისი ბანკის აქტივებში ყველაზე მაღალი წილი უჭირავს კლიენტებზე გაცემული სესხებს და ავანსებს. შემდეგ ადგილზეა ფული და ფულის ექვივალენტები. კომპანიის ვალდებულებებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს კლიენტების დეპოზიტებს და ვალდებულებებს საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ. ეს ლოგიკურიცაა კომპანიის ბიზნეს-საქმიანობებიდან გამომდინარე. სს თიბისი ბანკის ინდივიდუალური ანგარიშგების მიხედვით, ჯგუფის ყველაზე დიდი კომპანია თვითონ სს თიბისი ბანკია.

მშობელი კომპანია ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის პროცესს ატარებს ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გათვალისწინებით. კერძოდ, ხდება ინვესტიციის მუხლების და შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირება.

ამ მიზნით, სს თიბისი ბანკი გამოყოფს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 24 –ის შესაბამისად „დაკავშირებული მხარეების ინფორმაცია” - მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან ერთ მხარეს შეუძლია გააკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის ფორმას, არამარტო იურიდიულ ფორმას. საერთო კონტროლის ქვეშ არსებულ საწამოებში შედის TBC Bank Group PLC-ს სადაზღვევო შვილობილი კომპანიები. ტრანზაქციები თიბისი ბანკის ჯგუფსა და მის შვილობილ კომპანიებს შორის ასევე აკმაყოფილებს დაკავშირებული მხარის ტრანზაქციების განმარტებას. თუ ისინი უქმდება გაერთიანების დროს, ისინი აღარ არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებში.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, სს თიბისი ბანკის ოპერაციები და ნაშთები შვილობილ კომპანიებთან იყო შემდეგი:

ათას ლარში	12/31/2017
შვილობილებზე გაცემული კრედიტებისა და ავანსების მთლიანი მოცულობა	46,546
სავალო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით	184
სხვა ფინანსური აქტივები	18,957
სხვა აქტივები	495
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,065
ინვესტიცია შვილობილებში	32,796

2.1.2 კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ასახავს მშობელი და შვილობილი საწარმოს მიერ ერთობლივად შექმნილ მოგებას მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მიზანია ასახოს ჯგუფის რესურსების, კონსოლიდირებულ ბალანსში ასახული წმინდა აქტივების, გამოყენებით შექმნილი მოგება. კონსოლიდირებული მოგება/ზარალის ანგარიშგების შედგენისას მშობელი კომპანია შვილობილი საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს ასახავს იმ თარიღიდან, როდესაც მოიპოვებს კონტროლს. მაგალითად, თუ მშობელმა კომპანიამ შვილობილი კომპანია იყიდა 2018 წლის 30 ივნისს, მაშინ 2018 წლის 31 დეკემბრის ანგარიშგებაში უნდა აისახოს შესყიდვის თარიღის შემდგომი ნაკადები. ეს განასხვავებს მას ბალანსისგან, სადაც მიუხედავად შესყიდვის თარიღისა, კონსოლირდება ექვემდებარება ყველა მუხლი, გარდა სააქციო და საემისიო კაპიტალისა.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება პირობითად შედგება ორი ნაწილისაგან, პირველი ნაწილი ასახავს მშობელი და შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივებით მიღწეულ შედეგს. ამ განყოფილებაში 100%-ით არის გაერთიანებული მშობელი და შვილობილი საწარმოების ყველა სათანადო მუხლები: ამონაგები, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, ხარჯები, მოგება დაბეგვრამდე და დაბეგვრის შემდეგ. მეორე ნაწილი ასახავს არსებული მოგების განაწილებას მის მფლობელთა შორის - მშობელი საწარმოს აქციონერთა მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელი წილის მესაკუთრეებს შორის.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება დივიდენდები:

- გადახდილი დივიდენდები - მხოლოდ მშობელი საწარმოს მიერ თავისი აქციონერებისათვის, რაც აისახება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაშიც;
- მიღებული დივიდენდები - მხოლოდ სხვა ინვესტიციებიდან მიღებული და არა შვილობილი და/ან მეკავშირე საწარმოებიდან.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება მზადდება მშობელი და შვილობილი საწარმოების კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის გაერთიანებით სათანადო კორექტირებების შემდეგ. შესაბამისად, კონსოლიდირებული მოგება/ზარალის ანგარიშგება მოითხოვს კონსოლოდაციის შემდეგ პროცედურებს:

სქემა 2.2.1 - კონსოლიდაციის პროცედურები¹⁹



მშობელი და შვილობილი საწარმოების შემოსავლებისა და ხარჯების გასაერთიანებლად და ყველა კორექტირებების ჩასატარებლად გამოიყენება ე.წ. „კორექტირების ცხრილი“. გაუფასურების ზარალი ფასს-ით მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს.

შიდაჯგუფური ვაჭრობის შედეგები უნდა გამოირიცხოს კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან. შიდაჯგუფური ვაჭრობა აისახება ერთ საწარმოსთან ამონაგებში, ხოლო მეორესთან შესყიდვებში. ამიტომ უნდა მოხდეს ამ ოპერაციების კორექტირება. თუ ჯგუფში რეალიზებული საქონელი საანგარიშგებო თარიღისათვის არის მარაგში, მისი ღირებულება უნდა დაკორექტირდეს ჯგუფის მიმართ არსებულ

¹⁹ კორპორაციული ანგარიშგება - ნადეჟდა კვატაშიძე, თბილისი, 2019.

თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. კერძოდ, კონსოლიდაციის ცხრილში, გამყიდველის სვეტში არარეალიზებული მოგების შესაბამისი კორექტირება ნაჩვენებია უნდა იყოს როგორც რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ზრდა. ამდენად, მარაგის შიდაჯგუფური რეალიზაციისას უნდა განხორციელდეს შემდეგი კორექტირებები:²⁰

- კონსოლიდირებული ამონაგები = მშობელი საწარმოს ამონაგები + შვილობილი საწარმოს ამონაგები - შიდაჯგუფური რეალიზაცია;
- კონსოლიდირებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = მშობელი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება + შვილობილი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - შიდაჯგუფური რეალიზაცია + არარეალიზებული მოგება

როდესაც ჯგუფის ერთი საწარმო მეორე საწარმოს მიჰყიდის გრძელვადიან აქტივს, გამყიდველ საწარმოს წარმოექმნება მოგება, ხოლო მყიდველი საწარმო აქტივის ახალი ღირებულებას დაარიცხავს ცვეთას. ცნობილია, რომ კონსოლიდირებული ანგარიშგება ასახავს ჯგუფის პოზიციას. ამიტომ კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ცვეთა გაანგარიშებული უნდა იქნეს გრძელვადიანი აქტივის ჯგუფის თვითღირებულებიდან და არა მოგების სიდიდით გაზრდილი შემქმნის ღირებულებიდან. მიღებული მოგება ჯგუფის პოზიციიდან არის არარეალიზებული მოგება და ის რეალიზდება თანდათანობით აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთის დარიცხვით. სანამ არ მოხდება აქტივის მყიდველის მიერ ცვეთის სრული დარიცხვა, კონსოლიდაციის დროს საჭირო იქნება კორექტირების გაკეთება. კერძოდ: არარეალიზებული მოგების თანხით უნდა შემცირდეს შემოსავალი და აქტივის საბალანსო ღირებულება. ამით იქმნება ისეთი სურათი, თითქოს აქტივის გაყიდვას არ ჰქონია ადგილი.

²⁰ კორპორაციული ანგარიშგება-ნაღვედა კვატაშიძე, თბილისი, 2019 წელი.

სს თიბისი ბანკის კონსოლიდირებული მოგება/ზარალის ანგარიშგების მიხედვით, ჯგუფის შემოსავლის ყველაზე დიდი ნაწილი საპროცენტო შემოსავალზე მოდის.

სს თიბისი ბანკის შემოსავლები და ხარჯები შვილობილებთან იყო შემდეგი:

ათას ლარში	12/31/2017
საპროცენტო შემოსავალი	3,345
საპროცენტო ხარჯი	2,593
საკომისიო შემოსავალი	297
საკომისიო ხარჯი	15,276
სხვა საოპერაციო შემოსავალი	588
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3,353

მოცემული ოპერაციები ანგარიშგების კონსოლიდაციისას ელიმინირდება და გავლენას არ მოახდენს ჯგუფის საერთო ეკონომიკურ სურათზე.

2.1.3 კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენისას მშობელი კომპანია ამზადებს კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, სადაც ერთიანდება ჯგუფის ფულადი ნაკადები.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება არის ფინანსური ანგარიშგების ფორმა, რომლის მიზანია ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს პერიოდის განმავლობაში ჯგუფის ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციით. იგი მოიცავს ინფორმაციას, რომელიც არ არის წარმოდგენილი ბალანსა და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ფულადი ნაკადები მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს. ბასს 7 გვთავაზობს ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემდეგ განმარტებას:²¹

- ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე.
- ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ინფორმაცია ჯგუფის ფულადი ნაკადების შესახებ სასარგებლოა იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება ექნებათ შეაფასონ ჯგუფის მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა და გამოყენების მოთხოვნილება. მომხმარებელთა მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს შეფასებას, თუ რა შესაძლებლობები აქვს ჯგუფს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავებისათვის, აგრეთვე რამდენად დროული და საიმედოა მათი გამომუშავება. ამ ანგარიშგების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია

²¹ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 7- ფულადი ნაკადების ანგარიშგება, 2017 წელი

მომგებიანობისა და ამ ერთეულის მიერ ფულადი სახსრების წარმომქმნის უნარის დაკავშირება. მოგება და ფულადი სახსრების წარმომქმნის უნარი კორპორატიული საქმიანობის მნიშვნელოვანი, მაგრამ განსხვავებული ასპექტებია. გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ გამოიყენა კომპანიამ ფულადი სახსრები.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ხდება ფულადი ნაკადების კლასიფიცირება 3 ნაწილად:

- საოპერაციო საქმიანობა არის საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა.
- საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შეძენა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები.
- საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები სახსრები.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ ფულადი ნაკადები ჯგუფს გარეთ და მისი მომზადება ხდება ბალანსის და მოგება/ზარალის ანგარიშგების საფუძველზე. შესაბამისად, კონსოლიდაციის მიზნებისთვის განხორციელებული ელიმინაცია გაითვალისწინება ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებისას.

თუ შვილობილ კომპანიაში არსებობს არამაკონტროლებელი წილი და მასზე გაიცა დივიდენდი, მაშინ ის აისახება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებში. დივიდენდის გაცემა ჯგუფის წევრებს შორის ექვემდებარება ელიმინაციას და არ აისახება მოცემულ ანგარიშგებაში.

შვილობილი კომპანიის შესყიდვისას, მისი ფულადი ნაკადები კონსოლიდირდება ჯგუფის ანგარიშგებაში შესყიდვის თარიღიდან და შესყიდვაზე გადახდილი თანხა (კორექტირებული ნებისმიერი ფულადი სახსრებით ან ოვერდრაფტით, რომელიც ინვესტიციას მოაქვს ჯგუფისთვის) აისახება საინვესტიციო საქმიანობის ფულად გასავალში.

შვილობილი კომპანიის გაყიდვის დროს კი პირიქით, აისახება იმას მუხლით ფულად შემოსავლებში.

თუ კომპანია მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების აღრიცხვის მიზნებისთვის იყენებს კაპიტალ-მეთოდს, მაშინ მოცემული კომპანიების ფულადი ნაკადები ჯგუფში კონსოლიდაციას არ ექვემდებარება. კაპიტალ-მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებში კონსოლიდაცია ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მშობელი კომპანია მისგან მიიღებს დივიდენდს. მოცემული დივიდენტი აღირიცხება საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ დივიდენდად.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მომზადება სხვადასხვა პრობლემასთან არის დაკავშირებული. ინდივიდუალური ანგარიშგებისგან გასხვავდებით, კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებულია ჯგუფის ვალუტაში. ანგარიშგება აჩვენებს ფულადი ნაკადების ვარიაციას ორ ფინანსურ პერიოდს შორის, სადაც ძირითადად უცხოური ვალუტის კონვერტირებისთვის გამოიყენება პერიოდის საშუალო გაცვლითი კურსი. სწორედ ეს საკითხი ართულებს ანგარიშგების მომზადებას, რადგანაც ზოგადად საშუალო გაცვლითი კურსის გამოყენება არ არის მიზარშეწონილი სწორი ეკონომიკური სურათის დასანახად.

განვიხილოთ შვილობილი კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდის შემთხვევა. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის ფარგლებში გაცემული დივიდენდები ელიმინირდება კონსოლიდაციის დროს, მხოლოდ მესამე მხარისთვის გადახდილი დივიდენდები გამოჩნდება კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

რადგანაც დივიდენდი გაიცემა წინა წლის ფინანსური შედეგიდან, ის ჯგუფის ვალუტაში კონვერტირდება წინა წლის საშუალო გაცვლითი კურსით. მეორეს მხრივ, დივიდენდის გადახდის თანხასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები დაკონვერტირდება მიმდინარე ფინანსური წლის საშუალო მაჩვენებლით.

ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგება გვამლევს ინფორმაციას ჯგუფის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობისა, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების და ჯგუფის საერთო ფულადი ნაკადის შესახებ. მაგალითად, შვილობილი კომპანია შეიძლება ზარალზე იყოს, თუმცა ჰქონდეს მხარდაჭერა მშობელი კომპანიის მიერ, რომელიც აფინანსებს მის საქმიანობას.

2.1.4 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საწარმო წარადგენს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ²²

- საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, მშობელი საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი თანხების ცალკე გამოყოფით;
- საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების ან თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგები, ბასს 8-ის შესაბამისად;
- საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია:
 - I. მოგების ან ზარალის ცვლილებით;

²² ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პარაგრაფი 106

- II. სხვა სრული შემოსავლის ცვლილებით; და
- III. მესაკუთრეებთან, როგორც აქციების მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციებით.

საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა წარმოადგინოს სხვა სრული შემოსავლის თანხის მუხლობრივი ანალიზი.

საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა აჩვენოს მესაკუთრეებზე განაწილებული დივიდენდების ოდენობა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში აღიარებულია, როგორც მესაკუთრეებზე გაცემული განაწილება და ასევე ერთ აქციაზე დივიდენდის შესაბამისი ოდენობა.

საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს შორის პერიოდში საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებები გვიჩვენებს საწარმოს წმინდა აქტივების ზრდას ან შემცირებას საანგარიშგებო პერიოდში. პერიოდის მანძილზე საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ჯამური ცვლილება, გარდა იმისა, რომელიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციების მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციებითა და უშუალოდ ამგვარ ოპერაციებთან დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯებით, გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებსა და ხარჯებს, მათ შორის, მიღებულ შემოსულობებსა და დანაკარგებს.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალი. გაუნაწილებელი მოგება განისაზღვრება მოგება/ზარალის კონსოლიდაციის შედეგად. კონსოლიდაციის დროს შეიძლება კაპიტალში წარმოიშვას გადაფასების რეზერვიც. ეს მაშინ ხდება, როდესაც შვილობილი კომპანიის აქტივების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე მაღალია და მშობელი კომპანია ამ ნამეტით ზრდის აქტივის ღირებულებას გადაფასების რეზერვის გავლით.

2.2 მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვის პრინციპები

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა გულისხმობს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, თუმცა გამორიცხავს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას²³.

თუ ინვესტორს ეკუთვნის მეკავშირე საწარმოში ხმის უფლების 20% ან მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, მაშინ ითვლება, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (თუკი არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები იმისა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს).

ბასს 28-ის თანახმად, ინვესტორის მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება დადასტურდეს ერთი ან რამდენიმე შემდეგი ფაქტით²⁴:

- ინვესტორის წარმომადგენლის არსებობა ინვესტირებული საწარმოს დირექტორთა საბჭოში ან სხვა ანალოგიურ მმართველობით ორგანოში;
- მონაწილეობის მიღება პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, დივიდენდებისა და სხვა განაწილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ჩათვლით;
- საწარმოსა და ინვესტირებულ საწარმოს შორის განხორციელებული არსებითი ოპერაციებით;
- მმართველი პერსონალის ურთიერთგაცვლით; ან
- მნიშვნელოვანი ტექნიკური ინფორმაციის მოწოდებით.

²³ ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. ფასს. თბ., 2015. პ. 3

²⁴ ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. ფასს. თბ., 2015. პ. 6

ბასს 11-ის მიხედვით, ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივ საქმიანობას გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:²⁵

- მხარეები ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან სახელშეკრულებო შეთანხმებით;
- სახელშეკრულებო შეთანხმება ორ ან მეტ მონაწილე მხარეს ამ საქმიანობის ერთობლივი კონტროლის უფლებას ანიჭებს;

ერთობლივი საქმიანობა აერთიანებს ერთობლივ ოპერაციას და ერთობლივ საწარმოს.

ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე კი პასუხისმგებლობა. მოცემული მხარეები ერთობლივ ოპერატორებს წარმოადგენენ.

ერთობლივი საწარმო აღნიშნავს ისეთ ერთობლივ საქმიანობას, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე. მოცემული მხარეები ერთობლივ მეწილეებს წარმოადგენენ.


ერთობლივ საქმიანობაზე ვრცელდება ერთობლივი კონტროლი, რაც წამოადგენს ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლებას ამა თუ იმ საქმიანობაზე, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.

²⁵ ფასს 11 ერთობლივი საქმიანობა. ფასს.თბ, 2017, პარაგრაფი 5.

ერთობლივი კონტროლის განსაზღვრაში მთავარია არა იურიდიული სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ერთობლივი საქმიანობა, არამედ უფლება-მოვალეობების განაწილება ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა შორის. მაგრამ ერთობლივ კონტროლს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც არსებითი/რელევანტური საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ერთსულოვან თანხმობას მაკონტროლებელი მხარეების მიერ.

ერთობლივი საქმიანობის იდენტიფიცირება ხდება შემდეგი პროცედურების მიხედვით - სქემა 2.6.1

სქემა 2.6.1 - ერთობლივი საქმიანობის შეთანხმების იდენტიფიცირება²⁶



²⁶ Ernst & Young. An overview of IFRS (IFRS) 10. "Consolidated Financial Statements ", IAS (IFRS) 11 "Agreement on joint activities "and IFRS (IFRS) 12 "Disclosures of Interests in Other companies " council. p.6.


ფასს 10 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ – თანახმად,²⁷ თითოეულმა ინვესტორმა თავისი მონაწილეობის წილი ინვესტირებულ საწარმოში უნდა აღრიცხოს შესაფერისი ფასს-ების მიხედვით, როგორცაა ფასს 11 – „ერთობლივი საქმიანობა“, ბასს 28 – „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“, ან ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“.

საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში თავდაპირველი აღიარების დროს აისახება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ უნდა შეფასდეს კაპიტალ-მეთოდით. **კაპიტალ-მეთოდი** ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველად აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივებში ინვესტორის კუთვნილ წილში შექმნის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად. ინვესტორის მოგება ან ზარალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში, ხოლო ინვესტორის სხვა სრული შემოსავალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრულ შემოსავალში. ანუ, კაპიტალ-მეთოდი ნიშნავს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღრიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შექმნის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის გასანაწილებელი თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციის საბალანსო ღირებულების კორექტირება შეიძლება აუცილებელი გახდეს აგრეთვე ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის კუთვნილი პროპორციული წილის ცვლილების გასათვალისწინებლად, რასაც იწვევს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრული შემოსავლის ცვლილებები, კერძოდ, ძირითადი საშუალებების გადაფასება და უცხოურ ვალუტაში მუხლების გადაანგარიშების შედეგად

²⁷ ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ფასს. თბ., 2015. 3.9.

წარმოქმნილი განსხვავებები. ინვესტორის წილი ამ ცვლილებებში აისახება ინვესტორის სხვა სრულ შემოსავალში.

სქემა 2.5.1 - მეკავშირე საწარმოში დაბანდებული ინვესტიცია



ბასს 28 ასაბუთებს თუ რატომ უნდა იქნეს გამოყენებული შეფასების კაპიტალმეთოდი. კერძოდ, ინვესტირებული საწარმოდან მიღებული განაწილებული თანხების საფუძველზე აღიარებული შემოსავალი შესაძლებელია ადეკვატურად არ ასახავდეს შემოსავლის იმ ოდენობას, რომელიც ინვესტორმა მიიღო მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში კუთვნილი ინვესტიციიდან, რადგან მიღებული სახსრები შეიძლება უმნიშვნელოდ იყოს დაკავშირებული მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმოს საქმიანობის შედეგებთან. ვინაიდან ინვესტორს გააჩნია ერთობლივი კონტროლის უფლება, ან მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე, იგი დაინტერესებულია მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმოს საქმიანობის შედეგებით და, მაშასადამე, თავისი ინვესტიციის უკუგებით. ინვესტორი ამ ინტერესს ასახავს თავისი ფინანსური ანგარიშგების საზღვრების გაფართოებით, ითვალისწინებს რა მასში თავის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში. ამის გამო, კაპიტალ-მეთოდის გამოყენება უფრო დეტალურ ინფორმაციას იძლევა ინვესტორის წმინდა აქტივებისა და მოგების, ან ზარალის შესახებ.

ამდენად, თუ საწარმოს არ გააჩნია შვილობილი საწარმოები, ის კაპიტალმეთოდს იყენებს მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში კუთვნილი ინვესტიციების ასახვისთვისაც საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც არ არის კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგება. ერთადერთი ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც არ გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი, არის საწარმოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც წარადგენს ბასს 27²⁸-ის - „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ - შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მშობელი საწარმოს მიერ, ან ინვესტორის მიერ, რომელსაც აქვს ერთობლივი კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე, სადაც ინვესტიციები აისახება თვითღირებულებით, ან ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - შესაბამისად.

საწარმოს არ ევალება მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში კუთვნილი ინვესტიციის აღრიცხვა კაპიტალ-მეთოდით, თუ იგი წარმოადგენს მშობელი საწარმოს, რომელიც განთავისუფლებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მოთხოვნისაგან იმის გამო, რომ არ განეკუთვნება ფასს 10-ის მოქმედების სფეროს.

ერთობლივი ოპერაციების აღრიცხვა

ერთობლივად კონტროლირებადი ოპერაციები ნიშნავს ორი ან მეტი ოპერატორის მიერ თავის ოპერაციებისა და რესურსების, გამოცდილებისა და ცოდნის გაერთიანებას, რათა ერთობლივად აწარმოონ, გაყიდონ და გაანაწილონ კონკრეტული პროდუქცია. ამისათვის არ არის საჭირო რაიმე ტიპის საწარმოს დაფუძნება. ერთობლივი საქმიანობა მონაწილეების აქტივებისა და სხვა რესურსების გამოყენებას უფრო გულისხმობს, ანუ თითოეული ერთობლივი საქმიანობის მონაწილე იყენებს თავის ძირითად საშუალებებს და გააჩნია საკუთარი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. იგი აგრეთვე გასწევს ხარჯებს და იღებს გარკვეულ ვალდებულებებს, მოიპოვებს საკუთარ ფინანსურ სახსრებს, რაც მის საკუთარ ვალდებულებას წარმოადგენს. ერთობლივი საქმიანობის მეწილემ, ერთობლივად კონტროლირებად საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

²⁸ ბასს 27 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ფასს. თბ., 2015. პ. 10

ა) აქტივები, რომლებსაც ის აკონტროლებს და ვალდებულებები, რომლებსაც თვითონ იღებს; და

ბ) გაწეული საკუთარი ხარჯები და თავისი წილი ერთობლივი საქმიანობის საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებში.

შეიძლება ერთობლივი ოპერაციებისათვის აუცილებელი არ იყოს ცალკე ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომზადება ერთობლივი საქმიანობისათვის. მიუხედავად ამისა, სრულუფლებიანმა მონაწილემ მაინც უნდა მოამზადოს მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშები, რათა განსაზღვროს ერთობლივი საქმიანობის ფუნქციონირების ეფექტურობა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ერთობლივი ოპერაციებიდან ფინანსური შედეგების გასაანგარიშებლად მზადდება ერთობლივი საქმიანობის მემორანდუმი, რომელშიც ასახულია გაერთიანების შემოსავლები და ხარჯები, მიღებული მოგება ნაწილდება შეთანხმებით გათვალისწინებული პროპორციების შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ მონაწილეთა შორის საქონლის გადაადგილება არ მიიღება მხედველობაში, ვინაიდან გადაადგილება არ ახდენს გავლენას იმაზე, თუ ვინ გასწია ხარჯი (გადაიხადა მისი ღირებულება).

ერთობლივი ოპერაციები აღრიცხება ერთობლივი საქმიანობის მონაწილის წილით ერთობლივ საქმიანობაში. ამ მეთოდის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის მონაწილის წილი ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს აქტივებში, ვალდებულებებში, შემოსავლებსა და ხარჯებში გაერთიანებულია სრულუფლებიანი მონაწილის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსგავს მუხლში, ან წარდგენილია ცალკე მუხლად სრულუფლებიანი მონაწილის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამიტომ, პროპორციული კონსოლიდაციის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს წარდგენის ორი ფორმიდან ერთ-ერთი. პროპორციული კონსოლიდაციის მეთოდის გამოყენება ნიშნავს, რომ ერთობლივი ოპერაციების მეწილე თავის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახავს საკუთარ წილს ერთობლივად კონტროლირებად ოპერაციებში ან აქტივებში და აგრეთვე ერთობლივი ვალდებულებების იმ წილს,

რომლისთვისაც იგი არის პასუხისმგებელი. ერთობლივი საქმიანობის ოპერაციების მეწილის სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს მის წილს ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებში.

ერთობლივად კონტროლირებადი აქტივები

ზოგიერთი ერთობლივი ოპერაციები გულისხმობს ერთობლივი საქმიანობის მონაწილეების მიერ ერთობლივი საქმიანობის მიზნებისათვის შეძენილი აქტივების ერთობლივ მფლობელობასაც. ეს აქტივები გამოიყენება ერთობლივად კონტროლირებადი ოპერაციების შესრულების დროს, მონაწილეების მიერ ერთობლივი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. თითოეულმა მონაწილემ შეიძლება მიიღოს მოცემული აქტივების გამოყენებით გამოშვებული პროდუქციის გარკვეული წილი და გაიღოს ხარჯების შეთანხმებული წილი. ნავთობის, გაზისა და მინერალური რესურსების მომპოვებელი დარგების მრავალი საწარმოსათვის დამახასიათებელია ერთობლივად კონტროლირებადი აქტივები. მაგალითად, ნავთობის მწარმოებელ კომპანიებს უფლება აქვთ ერთობლივად გაუწიონ ექსპლუატაცია ნავთობსადენებს და ერთობლივი კონტროლი განახორციელონ მასზე. თითოეული მონაწილე ნავთობსადენს იყენებს საკუთარი პროდუქტის ტრანსპორტირებისათვის, რის საფასურადაც იგი გაიღებს ნავთობსადენის ექსპლუატაციის ხარჯების შეთანხმებულ წილს. ერთობლივად კონტროლირებად აქტივებში საკუთარ წილთან მიმართებაში, თითოეულმა მონაწილემ თავის ბუღალტრულ რეგისტრებში და საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

ა) საკუთარი წილი ერთობლივად კონტროლირებად აქტივებში, აქტივების საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით და არა როგორც ინვესტიცია. მაგალითად, ერთობლივად კონტროლირებადი ნავთობსადენის წილი შემდეგნაირად ჯგუფდება: შენობა-ნაგებობა, მანქანები და მოწყობილობა;

ბ) ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკუთარი ვალდებულება. მაგალითად, აქტივების თავისი წილის დაფინანსებასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

გ) თავისი წილი ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით სხვა სრულუფლებიან მონაწილეებთან ერთად აღებულ ვალდებულებებში;

დ) ერთობლივი პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან ან გამოყენებიდან მიღებული შემოსავლები, ერთობლივი საქმიანობისათვის გაღებულ ხარჯებში საკუთარი წილის ჩვენებით; და

ე) ყველა ის ხარჯი, რომელიც მან გაიღო ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მაგალითად, აქტივების დაფინანსებასთან დაკავშირებულ ხარჯებში საკუთარი წილი და პროდუქციის კუთვნილი წილის გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

ვინაიდან აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები უკვე ასახულია მონაწილის საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში, არავითარი კორექტირება ან კონსოლიდაციის პროცედურები არ არის საჭირო.

მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

როდესაც მშობელი საწარმოს აქვს ინვესტიციები მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში, კონსოლიდირებული ბალანსის მომზადების დროს უნდა გაკეთდეს შემდეგი სტანდარტული გაანგარიშებები:

- ჯგუფის სტრუქტურა (წილები);
- შვილობილი და მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოების წმინდა აქტივების ღირებულება შეძენის და საანგარიშგებო თარიღებისათვის;
- გუდვილი;
- არამაკონტროლებელი წილი;

- ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება;
- მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის ღირებულება.

ინვესტიციის შეძენის მომენტში სხვაობა ინვესტიციის თვითღირებულებასა და ინვესტირებული საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილს შორის, უნდა აისახოს შემდეგნაირად (ბასს 28, პ.32):

ა) გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოსთან, ჩაირთვება ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. ამ გუდვილის ამორტიზაცია ნებადართული არ არის;

ბ) ინვესტირებული საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის კუთვნილი წილის მეტობა ინვესტიციის თვითღირებულებაზე, გაითვალისწინება როგორც შემოსავალი მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში ინვესტორის წილის გაანგარიშებისას, რომელშიც ეს ინვესტიცია იყო შექმნილი.

მეკავშირე საწარმოს შეძენის დროს უნდა მოხდეს მისი წმინდა აქტივების ღირებულების კორექტირება, როგორც შვილობილი საწარმოს შემთხვევაში. მეკავშირე საწარმო არ მიიჩნევა ჯგუფის წევრად და ამიტომ მეკავშირე საწარმოსა და ჯგუფის წევრს შორის სავაჭრო ურთიერთობებით წარმოქმნილი დებიტორ-კრედიტორული ნაშთები არ ანულირდება და რჩება კონსოლიდირებულ ბალანსში. ხოლო არარეალიზებული მოგება ახდენს გავლენას ჯგუფის გაუნაწილებელ მოგებაზე, ამიტომ მარაგში არსებული არარეალიზებული მოგებით უნდა დაკორექტირდეს გამყიდვლის მოგება - მოგების ანულირება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თუ გამყიდველი მშობელი საწარმოა, ანულირება გაკეთდება გატარებით:

- დებიტი_გაუნაწილებელი მოგება (ჯგუფის);
- კრედიტი _ ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

თუ გამყიდველი მეკავშირე საწარმოა, ანულირება გაკეთდება გატარებით:

- დებეტი_ გაუნაწილებელი მოგება (ჯგუფის)
- კრედიტი _ მარაგი (ჯგუფის)

მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში

კაპიტალ-მეთოდის თანახმად მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება არ უნდა მოიცავდეს მიღებულ დივიდენდებს, არამედ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ჯგუფის წილს მეკავშირე საწარმოს დაბეგვრის შემდგომ მოგებაში.


ინვესტიციების შეფასების მეთოდები

მხარემ, რომელიც მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ არ გააჩნია ერთობლივი კონტროლი მასზე, ამ საქმიანობაში ფლობილი წილი უნდა აისახოს ფასს 9–ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ – შესაბამისად, თუ მას არ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ამ ერთობლივ საქმიანობაზე, ხოლო თუ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ერთობლივ საქმიანობაზე, მაშინ თავისი წილი უნდა ასახოს ბასს 28–ის შესაბამისად კაპიტალ-მეთოდით.

ფასს 11–ით (პ.26) ერთობლივმა ოპერატორმა ან ერთობლივმა მეწილემ ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის წილი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს (სქემა 2.6.3):

- ა) ერთობლივი ოპერაციის შემთხვევაში – თავისი წილი ერთობლივ აქტივებში, ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში, ერთობლივად მიღებულ ამონაგებში და ერთობლივად გაწეულ ხარჯებში;
- ბ) ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში – ბასს 27–ის მე–10 პუნქტის შესაბამისად თვითღირებულებით, ან ფასს 9–ის შესაბამისად.

სქემა 2.6.3 - ინვესტიციების შეფასების მეთოდები²⁹



²⁹ ნ.კვატაშიძე - კორპორაციული ანგარიშგება, თბილისი, 2019 წელი.

2.3 სს "თიბისი ბანკი" -ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები და ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წლის 17 დეკემბერს. ბანკი არის სააქციო საზოგადოება შეზღუდული აქციებით და შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. ბანკის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა უნივერსალური საბანკო ოპერაციები საქართველოში, რომლებიც მოიცავს კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოების საცალო და მიკრო ოპერაციებს. ბანკის ჯგუფის წევრი კომპანიები დაფუძნებულები არიან საქართველოსა და აზერბაიჯანში, რომელთა მთავარი საქმიანობა არის ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისთვის საბანკო, ლიზინგის, საბროკერო და ბარათების პროცესინგის სერვისის მიწოდება. ბანკი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სეზ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის შესაბამისად 1993 წლის 20 იანვრიდან.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები - შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიებს, მათ შორის სტრუქტურირებულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს რადგან ჯგუფს:

- I. აქვს გავლენა მართოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამისი აქტივობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ უკუგებებზე;
- II. აქვს უფლება სხვადასხვა სახის უკუგებაზე ასეთ წილობრივ მონაწილეობის მქონე კომპანიებში მისი მონაწილეობის გამო; და
- III. შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების მიმართ საიმისოდ, რომ გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგების თანხაზე.

მატერიალური უფლებების არსებობა და ეფექტი, მათ შორის პოტენციური ხმის მიცემის უფლებები, გათვალისწინებულია, როცა ხდება იმის შეფასება, აქვს თუ არა ჯგუფს სხვა საწარმოზე გავლენა. იმისთვის, რომ უფლება იყოს მატერიალური, მის მფლობელს უნდა

ჰქონდეს პრაქტიკული უნარი გამოიყენოს აღნიშნული უფლება მაშინ, როცა უნდა მიიღოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამისი აქტივობების მართვის შესახებ გადაწყვეტილება. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს გავლენა წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე, მაშინაც კი, როცა ის ფლობს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაში უმრავლესობის ხმის უფლებაზე ნაკლებს. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლების ზომას სხვა ხმის უფლების მქონე მფლობელების ხმის მფლობელობის ზომასთან შედარებით საიმისოდ, რომ განსაზღვროს, აქვს თუ არა მას დე-ფაქტო უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის აქტივობებში ფუნდამენტალურ ცვლილებებთან, ან ისეთი უფლებები, რომლებიც მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში გამოიყენება, არ შეაფერხებს ჯგუფს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის კონტროლისგან. შვილობილი კომპანიები დაკონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან, და ტოვებს ჯგუფს კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

დაკავშირებული კომპანიები - დაკავშირებულია კომპანიები, რომელზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, რაც ზოგადად ითვალისწინებს ხმის უფლების მქონე 20-50% - მდე აქციების ფლობას. დაკავშირებულ კომპანიებში ინვესტიციები აღირიცხება კაპიტალის აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით და, თავდაპირველად, აღიარებულია თვითღირებულებით. დაკავშირებული კომპანიების საბალანსო ღირებულება მოიცავს გუდვილს, რომელიც გამოვლინდება შესყიდვის დროს და აკლდება დაგროვილი გაუფესურებით გამოწვეული დანაკარგით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დაკავშირებული კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები ამცირებს დაკავშირებულ საწარმოებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. შეძენის შემდეგ დაკავშირებული კომპანიის წმინდა აქტივებში ჯგუფის წილის ცვლილებები აღირებულია შემდეგნაირად:

- I. დაკავშირებული კომპანიების მოგება/ზარალში ჯგუფის წილი რეგისტრირებულია წლის კონსოლიდირებულ მოგება/ზარალში, როგორც დაკავშირებული კომპანიების შედეგის წილი;
- II. ჯგუფის წილი სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია ცალკე;
- III. დაკავშირებული კომპანიების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ჯგუფის წილში ყველა სხვა ცვლილება აღიარებულია მოგება/ზარალში დაკავშირებული კომპანიების შედეგის წილის ფარგლებში. თუმცა, როცა ჯგუფის დანაკარგის წილი დაკავშირებულ კომპანიებში ტოლია ან აღემატება მის წილს ამ დაკავშირებულ საწარმოში, მათ შორის ნებისმიერი სხვა დაუცველი დებიტორული დავალიანებები, ჯგუფი არ აღიარებს შემდგომ დანაკარგებს, თუ მას არ წარმოექმნება ვალდებულებები ან არ ექნება გადასახდელები დაკავშირებული კომპანიის სახელით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2017	2016	ცვლილება
უკუგება კაპიტალზე ³⁰	21.4%	22.8%	-1.4 pp
უკუგება აქტივებზე ³¹	3.2%	3.9%	-0.7 pp
წმინდა საპროცენტო მარჟა ³²	6.4%	7.8%	-1.4 pp
ხარჯი/ შემოსავალთან ³³	40.8%	45.5%	-4.7pp
რისკის ფასი ³⁴	1.2%	1.0%	0.2pp

³⁰ უკუგება კაპიტალზე უდრის აქციონერების კუთვნილ წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავე პერიოდის აქციონერების კუთვნილი კაპიტალის საშუალო მაჩვენებელთან;

³¹ უკუგება აქტივებზე უდრის წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელთან;

³² წმინდა საპროცენტო მარჟა უდრის წმინდა საპროცენტო შემოსავალს, შეფარდებულს იმავე პერიოდის საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების საშუალო მაჩვენებელთან;

³³ ხარჯი / შემოსავალთან უდრის პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან შემოსავლებთან;

³⁴ რისკის ფასი უდრის სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი სესხების საშუალო მაჩვენებელთან;

უმოქმედო სესხების კოეფიციენტი ³⁵	3.3%	3.5%	-0.2pp
---	------	------	--------

მომგებიანობა

2017 წლის თიბისი ბანკის წმინდა მოგებამ შეადგინა 362.8 მილიონი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 21.1%-ით მეტია. წმინდა მოგების ზრდა ძირითადად განაპირობა არასაპროცენტო შემოსავლების მნიშვნელოვანმა ზრდამ, ასევე – საოპერაციო ხარჯებში მიღწეულმა კარგმა შედეგმა და რისკების გონივრულმა მართვამ. ამის შედეგად, უკუგების კოეფიციენტები კაპიტალსა და აქტივებზე 2017 წლისთვის იყო 21.4% და 3.2%, შესაბამისად. მომგებიანობა ასევე გაამყარა რესპუბლიკა ბანკის ინტეგრაციამ, რომელიც დასრულდა 2017 წლის მეორე კვარტალში, გეგმით გათვალისწინებულზე ადრე. ინტეგრაციამ საშუალება მისცა ბანკს მიეღწია სინერგიისთვის ხარჯების მხრივ და გაეუმჯობესებინა ეფექტურობა.

'000	2017	2016	ცვლილება
წმინდა მოგება	362,781	299,685	21.1%
უკუგება კაპიტალზე	21.4%	22.8%	-1.4 pp
უკუგება მთლიან აქტივებზე	3.2%	3.9%	-0.7 pp

წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2017 წლისთვის შეადგენდა 601.6 მილიონ ლარს, რაც 22.9%-ით აჭარბებს წინა წლის მაჩვენებელს. რესპუბლიკა ბანკის კონტრიბუცია 2017 წლის მთლიან წმინდა საპროცენტო შემოსავალში იყო 110.7 მილიონი ლარი ან 18.4%.

³⁵ უმოქმედო სესხების კოეფიციენტი უდრის 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებულ სესხებს ან სესხებს, რომელთა გადახდისუნარიანობა საეჭვოა, მიუხედავად ვადაგადაცილებული დღეების არსებობისა, შეფარდებულს მთლიანი სესხების პორტფელთან.

წმინდა საპროცენტო შემოსავლის ზრდა ძირითადად განაპირობა სასესხო პორტფელის ზრდამ (წლიურად – 16.2%-ით). ამასთანავე, წმინდა საპროცენტო მარჟა 2017 წელს იყო 6.4%.

	2017	2016	ცვლილება
საპროცენტო შემოსავალი	1,033,709	766,410	34.9%
საპროცენტო ხარჯი	(432,142)	(277,122)	-55.9%
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	601,567	489,288	22.9%
წმინდა საპროცენტო მარჟა	6.4%	7.8%	-1.4 pp

ლიკვიდობა

თიბისი ბანკის ლიკვიდობის კოეფიციენტი, სებ-ის განსაზღვრების მიხედვით, შეადგენდა 32.5%-ს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო წინა წლის შესაბამისი მაჩვენებელი იყო 30.8%.

ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის სტანდარტების პარალელურად სებ-მა დანერგა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR – Liquidity Coverage Ratio), რომლის მიზანია, კომერციული ბანკი ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში.³⁶

³⁶საქართველოს ეროვნული ბანკი - <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=699>

ბანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი დაითვლება როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მთლიან წმინდა ფულად გადინებასთან. მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები არის აქტივები, რომელთა ფულად გარდაქმნა ფინანსურ ბაზრებზე შესაძლებელია ადვილად და დაუყოვნებლივ, მცირე დანაკარგებით ან დანაკარგების გარეშე. მთლიანი წმინდა ფულადი გადინება კი მთლიან მოსალოდნელ ფულად გადინებას გამოკლებული მთლიანი მოსალოდნელი ფულადი შემოდინება ამ დებულებით გათვალისწინებული ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის გამოთვლიდან მომდევნო 30-დღიან პერიოდში, ფინანსური სტრესის გათვალისწინებით.

მოცემული მაჩვენებელი 2017 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 112.7%-ს, რაც აღემატება 100%-იან ლიმიტს. ამავე პერიოდში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ლარსა და უცხოურ ვალუტაში შეადგენდა 95.6%-სა და 122.9%-ს, რაც ასევე აღემატება შესაბამის ლიმიტებს (75% და 100%).

კაპიტალის ადეკვატურობა

2017 წლის დეკემბერში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დანერგა კაპიტალის ადეკვატურობის ახალი მოთხოვნები, რათა უკეთეს შესაბამისობაში მოსულიყო „ბაზელ-3“-ის სტანდარტებთან. „ბაზელ-3“-ის ჩარჩოს მიხედვით, თიბისი ბანკის პირველადი კაპიტალისა და მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტები 2017 წლის ბოლოს იყო 13.4% და 17.5% შესაბამისად, ხოლო შესაბამისი მინიმალური მოთხოვნები შეადგენდა 10.3%-სა და 12.9% -ს. მთლიანი პირველადი კაპიტალი შეადგენდა 1,437 მილიონ ლარს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი იყო 1,885 მილიონი ლარი. რისკების მიხედვით, შეწონილი რისკის პოზიციები შეადგენდა 10,753 მილიონ ლარს.

შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯები

მთლიანი რეზერვის ხარჯები 2017 წელს იყო 106.1 მილიონი ლარი, რაც გაორმაგებულია 2016 წელთან შედარებით, ეს კი ძირითადად განაპირობა სესხების რეზერვის ხარჯის ზრდამ 44.6 მილიონი ლარით. ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით ძირითადად გაიზარდა სხვა ფინანსური აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ზრდის გამო 9.6 მილიონი ლარით.

2017 წელს რისკის ფასი შეადგენდა 1.2%-ს.

სარეზერვო ხარჯები	2017 წელი	2016 წელი	ცვლილება
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(93,823)	(49,201)	90.7%
ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(12,314)	(3,910)	215.0%
მთლიანი სარეზერვო ხარჯები	(106,137)	(53,111)	99.8%
რისკის ფასი	1.2%	1.0%	0,2%

2.4 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებული პრობლემები და პერსპექტივები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენა საკმაოდ შრომატევადი პროცესია და მისი შედგენის პროცესში შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა სახის პრობლემები.

- *რთული სტრუქტურის მქონე სისტემებზე გადასვლა* - კომპიუტერული პროგრამა ექსელი ხშირად გამოიყენება კონსოლიდაციის მიზნებისთვის, სადაც კომპანიები ქმნიან მათთვის სასურველ კონსოლიდაციის ფორმებს. თუმცა თანამედროვე ეპოქაში კომპანიების ზრდის და მათი სტრუქტურული მრავლფეროვნების პირობებში, კონსოლიდაცია საჭირო ხდება რამდენიმე დონეზე. დღევანდელ პირობებში მშობელ კომპანიას შეიძლება ჰყავდეს შვილობილი კომპანია, რომელიც თავის მხრივ სხვა კომპანიისთვის მშობელია და ა.შ. კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ რომ ექსელი მისაღებია მხოლოდ განვითარების გარკვეულ დონემდე. კომპანიას შეუძლია გამოიყენოს ისეთი ბუღალტრული პროგრამები, სადაც დარეგისტრირდება რამდენიმე იურიდიული პირი და შესაძლებელი გახდება შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირება. თუმცა შემდგომში აუცილებელია სპეციალურად შექმნილი პროგრამები, რომლებიც კომპანიას ააცილებს არასწორი ინფორმაციის წარდგენის რისკს. მაგალითად, AP Planning and Consolidation, BPC ან Oracle Hyperion Financial Management software. თუმცა ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ პროგრამა პრობლემის გადაჭრის უნივერსალური საშუალება არაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გუნდს, რომელიც კონსოლიდაციის პროცედურაზე მუშაობს.
- *განსხვავებული ვალუტა ჯგუფის წევრებს შორის* - კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებულია ჯგუფის ვალუტაში. ანგარიშგება აჩვენებს ფულადი ნაკადების ვარიაციას ორ ფინანსურ პერიოდს შორის, სადაც ძირითადად უცხოური ვალუტის კონვერტირებისთვის გამოიყენება პერიოდის საშუალო გაცვლითი კურსი. სწორედ

ეს საკითხი ართულებს ანგარიშგების მომზადებას, რადგანაც ზოგადად საშუალო გაცვლითი კურსის გამოყენება არ არის მიზარშეწონილი სწორი ეკონომიკური სურათის დასანახად.

- *ცალკეული კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი* - კონსოლიდაციის მიზანია ინფორმაციის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ჯგუფის საერთო სურათის შესახებ. შიდაჯგუფური ელიმინაციების შედეგად იქმნება წარმოდგენა მთლიანი შემოსავლის შესახებ, თუმცა ეს არ იძლევა ინფორმაციას ცალკეული კომპანიის შედეგის მიხედვით. ამ მიზნისთვის საჭიროა ხარჯების განაწილება. ამის გამო კონსოლიდაციის დროს რთულია განისაზღვროს ცალკეული კომპანიის წილი მთლიან მონაცემებში.
- *შიდაჯგუფური ტრანზაქციების ელიმინირება* - ხშირ შემთხვევაში მშობელი კომპანია შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირების პროცესისთვის იყენებს კომუნიკაციას ელექტრონული მეილების საშუალებით, რაც ზრდის შეცდომის დაშვების და არასწორი კორექტირებების გატარების რისკს. მოცემული პროცესი დროის მხრივაც არაეფექტურია. შესაბამისად, რეკომენდირებულია ელიმინირება განხორციელდეს პროგრამული უზრუნველყოფით. მოცემული მიდგომა შეამცირებს გაურკვეველობის და შეცდომის დაშვების რისკს და შეამცირებს კონსოლიდაციაზე დახარჯულ დროს.
- *საკუთარ კაპიტალში ცვლილებების რეკონსილაცია* - საკუთრი კაპიტალის რეკონსილაციის მიზნებისთვის კომპანიები ხშირად იყენებენ მსხვილფორმატიან ელექტრონულ ცხრილს (მაგალითად ექსელი). ასეთ ფაილში მონაცემები არის წამოღებული ბუღალტრული პროგრამიდან, რომელშიც შეიძლება დროთა განმავლობაში დამატებითი კორექტირებები გაკეთდეს და წინა წლის ფაილში არსებული ნაშთები არ შეესაბამოს ბუღალტრულ პროგრამაში არსებულს. შესაბამისად, რადგან საკუთარი კაპიტალის რეკონსილაცია და მისი წლიური მოძრაობა კონსოლიდაციის მიზნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მშობელმა

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა ან შესაბამისი ელექტრონული ცხრილების გამოყენება.

- *მონაცემთა შეგროვება ელექტრონული ცხრილებით* - ელექტრონული ცხრილები ხშირად გამოიყენება ფინანსური და არაფინანსური მონაცემების დასამუშავებლად, რადგან მისი გამოყენება იოლია. თუმცა ამავე დროს ჩნდება რისკი, რომ მოხდება ამ მონაცემებით მანიპულირება და ნამდვილი ფინანსური შედეგის დამახინჯება. შესაბამისად, რისკის ქვეშ დგება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაც. ამ პრობლემის თავიდან არიდება სწორედ კონსოლიდაციის და რეპორტირების პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებაა.
- *ისტორიული ელიმინაციები* - ჯგუფში ხშირია ისეთი ოპერაცია, რომლის შედეგი შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა ელიმინირდეს ჯგუფის წევრებს შორის. მაგალითად, გუდვილი, ინვესტიცია, ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შედეგი და ა.შ. შესაბამისად, არის რისკი იმისა, რომ გარკვეული ოპერაცია გამოიტოვება კონსოლიდაციის პროცესისას. ამ რისკის შემცირება შესაძლებელია კონსოლიდაციის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, ან ელექტრონული ცხრილებით, სადაც იქნება მოცემული სია ელიმინირებას დაქვემდებარებულ ოპერაციებზე.

დღესდღეობით ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისთვის სულ უფრო ხშირად იყენებენ კომპიუტერულ პროგრამებს, რაც ამ პროცესს უფრო მოსახერხებელს და მობილურს ხდის.

კონსოლიდაციის პროგრამული უზრუნველყოფა ავტომატიზირებულია და ამარტივებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შექმნის პროცესს. მსხვილი და გლობალური ორგანიზაციებისათვის, კონსოლიდაციის პროგრამული უზრუნველყოფა ახორციელებს ჯგუფის მთელი ფინანსური მონაცემების მიწოდებას. კონსოლიდაციის პროგრამული უზრუნველყოფა ასევე კლასიფიკაციას უკეთებს ჯგუფს ზოგად ანგარიშებს

ერთი სქემაზე და არეგულირებს კონსოლიდირებულ მონაცემებს შესაბამისი წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

კონსოლიდაციის პროგრამა აუცილებელია უფრო მსხვილი კომპანიებისათვის. Excel- ზე დაფუძნებული ცხრილები მონაცემთა დიდი მოცულობების კონსოლიდაციის მიზნებისთვის არ არის ეფექტური.

საუკეთესო კლასის კონსოლიდაციის პროგრამა საშუალებას აძლევს კომპანიებს კომპლექსური საკუთრების სტრუქტურებზე გამოყოს იურიდიული პირები და საანგარიშო ერთეულები და განსაზღვროს იერარქებია.

კონსოლიდაციის პროგრამული უზრუნველყოფა ეხმარება კომპლექსურ, გლობალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას გაუმკლავდეს მრავალრიცხოვან ვალუტას, კომპანიათა შერწყმას და შესყიდვას და საბუღალტრო სტანდარტები, როგორცაა IFRS და GAAP (ვისთვისაც რელევანტურია) და წარმოადგინონ მონაცემები ჯგუფის დონეზე.

კონსოლიდაციის პროგრამა იძლევა შემდეგი ოპერაციების შესრულების შესაძლებლობას:

- დაადგინოს შიდაჯგუფური ოპერაციები და მოახდინოს მათი ელიმინაცია;
- განსაზღვრავს საკონტროლო ჯგუფები ძირითად ანგარიშებს შორის;
- განსაზღვრავს იურიდიული პირები;
- ვალუტის და საპროცენტო განაკვეთების კონვერტაცია;
- მართოს სამართლებრივი სტრუქტურები;
- ავტომატურად დააგენერიროს ანგარიშები.

დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები დღესდღეობით აქტუალური თემაა, რადგანაც გლობალიზაციის ეპოქაში ბევრი კომპანია ოპერირებს როგორც მშობელი საწარმო. ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა კონსოლიდაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით განსხვავებულია, რაც დიდ პრობლემებს წარმოშობს საერთაშორისო დონეზე მოთამაშე კომპანიებისთვის. ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები კომპანიებს აძლევს სათანადო მითითებებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თაობაზე და ამით ქმნის ერთიან სტანდარტებს, რომლის მიზანია მომზადდეს ზუსტი და გამჭვირვალე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტანდარტი ამ საკითხთან დაკავშირებით არის ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, განსაზღვროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მომზადების პრინციპები ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საწარმო აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს. ასევე აღსანიშნავია სტანდარტი ფასს 3, ის აღმჯობესებს ინფორმაციის შესაბამისობას, საიმედოობას და შესაძარისობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება შესაძლებელია რთული და შრომატევადი პროცესია, განსაკუთრებით ბევრი შვილობილი კომპანიის მქონე მშობელი საწარმოსთვის, თუმცა მის გარეშე ვერ განხორციელდება ჯგუფის სრული სურათის დანახვა და საჭირო ინფორმაციის მიღება. დღესდღეობით ვითარდება სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც კონსოლიდაციის პროცესს ამარტივებს. ის საშუალებას აძლევს კომპანიას ადვილად გააერთიანოს ბიზნესის მონაცემები მისთვის სასურველი ფორმით. მსგავსი პროგრამები უზრუნველყოფენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურირებულ და დაჩქარებულ შექმნას, ანალიზის ფართო შესაძლებლობებს და ა.შ.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო კი მუდმივად მუშაობს კონსოლიდაციის პროცესის განვითარებაზე.

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისადმი (IFRS) გაზრდილი ინტერესი აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ამ სტანდარტებით მუშაობა არის ერთ-ერთი პირობა ადგილობრივი საწარმოებისათვის საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად. ეს, თავის მხრივ, კომპანიის ხელმძღვანელობას და მენეჯმენტს ასტიმულირებს შეისწავლონ მათი ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

მოცემული ინფორმაციული კვლევის საფუძველზე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელი საწარმოს ანგარიშგებას. მისი მიზანია წარმოაჩინოს საწარმოთა ჯგუფის საერთო სახე და მოახდინოს დეტალური, საინფორმაციო და ანალიტიკური მაჩვენებლების წარდგენა მომხმარებლისთვის;
- შიდაჯგუფური ოპერაციები არ შედის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. იგი აჩვენებს მხოლოდ აქტივებს და ვალდებულებებს, შემოსავალს და ხარჯებს გარე კონტრაქტორებთან არსებული გარიგებებიდან. კონსოლიდაციის პროცესში გამოვლენილია და ელიმინირებულია ნებისმიერი შიდა ჯგუფის ფინანსური და ბიზნეს გარიგება;
- კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შედის ჯგუფის თითოეული კომპანიის საქმიანობის და ფინანსური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა. ეს ნიშნავს, რომ ერთი შვილობილი კომპანიის მოგებით შეიძლება დაიფაროს სხვისი დანაკარგები და მეორე შვილობილის მყარი ფინანსური პოზიციით შეიძლება გადაიფაროს სხვისი გადახდისუნარიობა;

- თუ ჯგუფი შედგება სხვადასხვა სახის ბიზნესში მოქმედი კომპანიებისგან, ამ ჯგუფისთვის კონსოლიდირებულმა ანგარიშგებამ შეიძლება არ გაამჟღავნოს გარკვეული მნიშვნელოვანი დეტალები. ეს მაშინ ხდება როდესაც არ არის დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობის თითოეული სეგმენტის შესახებ.
- კონსოლიდირებული ანგარიშგება უზრუნველყოფს მთელი ჯგუფის შესახებ მოკლე ინფორმაციის მიწოდებას, რათა შენარჩუნდეს პოზიტიური განწყობა ჯგუფის მიმართ და გაძლიერდეს პოზიციები საფონდო ბირჟაზე (მშობელი კომპანიის აქციებზე ფასების ზრდა);
- კონსოლიდირებული ანგარიშგება წარმოაჩენს ბიზნეს ოპერაციების უფრო რეალურ სურათს და ერთიანი ეკონომიკური ერთეულის ფინანსურ პოზიციას, მაგრამ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩანაცვლების სანაცვლოდ;
- იგი უზრუნველყოფს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას;
- ანგარიშგება აღწერს ჯგუფის წევრების ეკონომიკურ ურთიერთობებს და ჯგუფის წევრების ურთიერთქმედებას ერთმანეთზე;
- ფინანსური ანგარიშგება გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობის დაფინანსებასა და ფინანსური დაგეგმვაზე;

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსისა და მომზადების პრინციპებზე მუშაობის და კვლევის დასახული მიზნების მიღწევის შედეგად, შესაძლებელია გამოვეყნოთ მოცემულ თემასთან შესწავლისას გამოკვეთილი ძირითადი მოსაზრებები:

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა დღესდღეობით აქტუალური საკითხია და მისი მომზადება დღეს ბევრ კომპანიას სჭირდება თავისი საქმიანობიდან გამომდინარე;
- კონსოლიდაცია საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობს ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რომლებიც კომპანიებს სთავაზობენ უნივერსალურ სტანდარტებს და მითითებებს გლობალურ დონეზე კონსოლიდაციის პროცესისთვის. მოცემული სტანდარტები

ხელს უწყობს საერთაშორისო დონეზე მომხადებული ანგარიშების ჰარმონიზაციას;

- ბასს საბჭო მუდმივად ცდილობს განავითაროს და დააზუსტოს კონსოლიდაციასთან დაკავშირებით არსებული მნიშვნელოვანი საკითხები;
- კონსოლიდებული ფინანსური ანგარიშგების მომხადებაში სულ უფრო იზრდება კომპიუტერული პროგრამების როლი, რაც კონსოლიდაციის პროცესს ამარტივებს და მეტ სიზუსტეს მატებს;
- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას აქვს მიდრეკილება დაფაროს ჯგუფში შემავალი ერთი ან რამდენიმე კომპანიის არაეფექტიანი საქმიანობა, ან კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველზე გამოთვლილი კოეფიციენტები გახადოს მიმზიდველი, მაშინ როდესაც მოცემული მაჩვენებლები ცალკეული კომპანიისთვის არ იყოს შესაბამისი მასთან; შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასთან ერთად სასურველია მოხდეს ინდივიდუალური ანგარიშგების ანალიზიც;

სს თიბისი ბანკის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხადებასა და წარდგენის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი რეკომენდაციები:

- სს თიბისი ბანკმა რეკომენდირებულია წარმოადგინოს უფრო ვრცელი ინფორმაცია შვილობილი და მეკავშირე კომპანიების შესახებ, მაშინ როდესაც ზოგიერთი მისი შვილობილი და მეკავშირე კომპანია არ წარადგენს ინდივიდუალურ ანგარიშგებას. ეს ხელს შეუწყობს კონსოლიდაციის პროცესის გამჭვირვალობას და ჯგუფის კომპანიების საიმედო ფინანსური სურათის დანახვას.
- სს თიბისი ბანკმა რეკომენდირებულია წარმოადგენილ ანგარიშგებაში დააზუსტოს კონსოლიდაციისთვის გამოყენებული კომპიუტერული პროგრამა. პროგრამული პაკეტი ექსელი (Excel)-ისგან განსხვავებით, კონსოლიდაციისთვის სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული პროგრამა უფრო მაღალი სანდოობის დონით და სიზუსტით ხასიათდება.

- სს თიბისი ბანკმა რეკომენდირებულია წარმოადგინოს უფრო დეტალური ინფორმაცია გუდვილის გადაანგარიშებისა და მისი გადანაწილების შესახებ შვილობილი კომპანიების დონეზე, ასევე ძირითადი დაშვებები გამოყენებული გუდვილისა და გუდვილის გაუფასურების გაანგარიშებისასა და დაგროვილი არამაკონტროლებელი წილის კალკულაციაში.
- კომპანიისთვის რეკომენდირებულია წარადგინოს უფრო დეტალური ანალიზი ახალი სტანდარტების ფასს 9, ფასს 15 და ფასს 16 დონეებზე და განიხილოს მისი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- არსებული კვლევის თანახმად, სს თიბისი ბანკის მიერ განხორციელებული კონსოლიდაციის პროცესი შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. ამაზე მეტყველებს კომპანიის არამოდიფიცირებული აუდიტის დასკვნაც, რომელსაც გამოსცემს ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო აუდიტორული ფირმა შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო.

კვლევის შედეგებს მივყავართ დასკვნამდე, რომ კვლევის მიზანი მთლიანად იქნა მიღწეული, კერძოდ კი, შესწავლილი და გამოკვლეული იყო ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირების ძირითადი პრინციპები და მეთოდები, ჩამოყალიბდა რეკომენდაციები. ამ ნაშრომის შედგენისთვის განკუთვნილი ამოცანები კი სრულად იქნა მიღწეული, კერძოდ:

- განისაზღვრა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი, ძირითადი ცნებები და მისი მომზადების პრინციპები;
- განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირების პროცედურა და მეთოდები;
- განხორციელდა კვლევის ეკონომიკური სუბიექტის მოკლე აღწერა და მისი განხილვა ნაშრომის სხვადასხვა ნაწილში, ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2010 წელი.
2. ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება, 2017 წელი.
3. ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, 2015 წელი.
4. ფასს 11 - ერთობლივი საწმიანობა, 2017 წელი.
5. ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, 2018 წელი.
6. ბასს 7- ფულადი ნაკადების ანგარიშგება, 2016 წელი.
7. ბასს 28 - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, 2017 წელი
8. კორპორაციული ანგარიშგება - ნ.კვატაშიძე, თბილისი, 2019 წელი.
9. სს თიბისი ბანკის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა და მმართველობითი ანგარიშგება, 2017 წელი.
10. Authors collective (Adam Jacobson, Rick Jennings, Eileen Corwin, Alan Hyman, Joel Chaiken) - Consolidation: Challenges and solutions, 2012 Year.
<https://reportsyouneed.com/consolidation-challenges-and-solutions/>
11. Authors collective (Brad A. Adams, Charles Nagel, Patrick Staves, John Logan, etc) - The Importance of Consolidated Financial Statements , 2016 Year.
<https://www.qvinci.com/the-importance-of-consolidated-financial-statements/>
12. Economic Research Group - Consolidated Financial Statements – Means and Purpose of Preparation: Reasons of Not Announcing of consolidated Financial Statements in Bosnia and Herzegovina-Ševala Isaković-Kaplan, © 2010, Published online: 09 Nov 2015.
<https://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/1331677X.2010.11517440>
13. Financial Accounting_F7_2018-BPP.
14. IAS Board - IASB amends definition of business in IFRS Standard on business combinations , 2018 Year.
<https://www.ifrs.org/news-and-events/2018/10/iasb-amends-definition-of-business-in-ifrs-standard-on-business-combinations/>

15. Jean-Luc Squifflet, Senior Consultant - Consolidated cash flow statement , Currency issues.
- <https://www.sigmaconso.com/en/consolidated-cash-flow-statement/>
16. Luisa Robertson - Consolidated Statement of Cash Flows, 2009 Year.
[https://nscpolteksby.ac.id/ebook/files/Ebook/Accounting/Financial%20Management%20-%20Luisa%20Robertson%20\(2009\)/6%20%20Consolidated%20Statement%20of%20Cash%20Flows.pdf](https://nscpolteksby.ac.id/ebook/files/Ebook/Accounting/Financial%20Management%20-%20Luisa%20Robertson%20(2009)/6%20%20Consolidated%20Statement%20of%20Cash%20Flows.pdf)
17. Mazars USA Accounting team, Article - IASB Clarifies Definition of a Business in IFRS 3, 2019 Year.
<https://mazarsledger.com/iasb-clarifies-definition-of-a-business-in-ifs-3/>
18. Madis Lämmergas, CEO of Rephop - Typical challenges and best practices in financial consolidation, 2017 year.
<https://medium.com/rephop/typical-challenges-and-best-practices-in-financial-consolidation-98eb2b2c0bf5>
19. Silvia Mahutova- How to test goodwill for impairment, 2016 Year.
<https://www.ifrsbox.com/impairment-goodwill-ifs-testing/>
20. Victoria Duff - The Importance of Consolidated Financial Statements, 2017 Year.
<https://bizfluent.com/about-5685728-importance-consolidated-financial-statements.html>

